აჭარა

გამოცემის 102-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№25 (25.049) შაბათი, 11 - 13 მარტი, 2023 წ. 50 თეთრი

ბარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 12-17, მაღალ მთაში - 8-13 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 10 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 757 მილიმეტრი.

ხვალ ამინდი შენარჩუნდება, ზეგ ზოგან მოსალოდნელია წვიმა.

კრიალოსა N იუსი

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭოს, „ხალხის ძალისა“ და საპარლამენტო უმრავლესობის გადაწყვეტილებით, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი უპირობოდ, ყოველგვარი დათქმის გარეშე, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოდან გაწვეულია. 10 მარტს პარლამენტმა, პლენარულ სხდომაზე, „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელმაც მასშტაბური საპროტესტო აქციები გამოიწვია, ჩააგდო. „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი კენჭისყრაზე განხილვის გარეშე დადგა.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ახალ ხელმძღვანელს შეხვდა. ირაკლი ღარიბაშვილმა და დიმიტრიოს კარაბალისმა საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებსა და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ არსებული უსაფრთხოების გარემოზე, ასევე, ჰუმანიტარული და ადამიანის უფლებების კუთხით იქ არსებულ მძიმე ვითარებაზე ისაუბრეს. პრემიერ-მინისტრმა დაადასტურა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პოლიტიკის მიმართ საქართველოს მთავრობის ერთგულება.

* * *

ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ საზოგადოებაში სიმშვიდე და მივყვეთ იმ ამოცანას, რასაც ჰქვია დემოკრატიული ევროპული სტანდარტით არჩევნების ჩატარება, პროგრამების შეჯიბრით და არა მუშტი-კრივით“, - განაცხადა პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა გიორგი ვოლსკიმ „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტის გაწვევის მიზანზე საუბრისას. მისი თქმით, გაწვევა განაპირობა იმან, რომ „დაპირისპირება არა მარტო სახელმწიფო სტრუქტურებსა და მომიტინგეებს შორის განვითარდა, არამედ საზოგადოებაში შეიქმნა საკმაოდ დაძაბული ვითარება“.

* * *

აქციები უნდა გაგრძელდეს, ოღონდ ისე, რომ ჩემი კოლეგების უდიდესი ნაწილი მიკროფონს არ გააკარო, - აცხადებს პარტია „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერი იაგო ხვიჩია და დასძენს, რომ მისი კოლეგების უდიდესი ნაწილი მიტინგების პროფესიონალი დამშლელები არიან. „ახლა მიტინგის დაშლა კი არა, ბოლომდეა მისაყვანი საქმე და მთავარი დასჯის ინსტრუმენტი, ე.წ. ფეიკ სამხედრო რეფორმაც ისევე უნდა გამოვითხოვოთ, როგორც ეს კანონპროექტი გამოითხოვეს“, - განაცხადა იაგო ხვიჩიამ. ცნობისათვის: პარლამენტში წარდგენილი თავდაცვის ახალი კოდექსის თანახმად, „გირჩის“ რელიგიური ორგანიზაციის წევრობა სავალდებულო სამხედრო სამსახურისგან თავის არიდების გარანტი ვეღარ იქნება.

მოამზადა
ია შველიძემ

მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტზე მუშაობა იწყება

ოთარ ციცარიძე 599 85 21 14

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) „დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა ადგილობრივ დონეზე საქართველოში“ (DGG) პროექტთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტების მომზადებაში მხარდაჭერას იწყებს. პროექტი ხორციელდება პოლიტიკის და მართვის საკონსულტაციო ჯგუფის (PMCG) ჩართულობით. ამ მიზნით მოწვეული ექსპერტი, GiPA-ს ლექტორი ნინო ლოლაძე ხულოს, შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში იმყოფებოდა. მან, პროექტის ფარგლებში, საკრებულოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის საინფორმაციო შეხვედრები გამართა მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შედგენის მეთოდოლოგიის შესახებ.

შეხვედრებზე ითქვა, რომ პროექტის ფარგლებში, ქვეყნის მასშტაბით არსებული 63 მუნიციპალიტეტი ჩაერთვება. მათგან შერჩეული 30 მუნიციპალიტეტი ექსპერტების მხარდაჭერით შეძლებს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავებას ან განახლებას. საკრებულოების წევრების, განსაკუთრებით მაჟორიტარების, ჩართვა პოლიტიკის დაგეგმვის პროცესში მნიშვნელოვანია სხვადასხვა სოციალური ჯგუფის საჭიროებების დასადგენად. დოკუმენტს ქმნიან: ადგილობრივი ხელისუფლება, აკადემიური დაწესებულებები, ადგილობრივი მოსახლეობა, დაინტერესებული მხარეები, სათემო ორგანიზაციები. ბიზნესის, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. ამდენად, არჩეული თანამდებობის პირების ცნობიერების ამაღლება, სტრატეგიული პოლიტიკის დოკუმენტების დაგეგმვისა და მომზადების პროცესში ჩართვის შესაძლებლობების შესახებ, ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეზე მონაწილეობითი პრაქტიკის დამკვიდრებას.

- სამივე მუნიციპალიტეტში ორგანიზებული შეხვედრები გვქონდა, - თქვა ნინო ლოლაძემ, - დამსწრენი მალე გაერკვნენ მერიისა და საკრებულოების ფუნქციებში. გავაცანით დოკუმენტის მომზადების ვადები, შეფასების ეტაპი. პირველსავე შეხვედრებზე გამოიკვეთა, რომ ადგილობრივი მოხელეები ზემოაღნიშნულ პროცესებში ჩართულები არიან.

„ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი პარლამენტიდან გაწვეულია

ზიძრია დავლაძე 597 25 25 72

10 მარტს საქართველოს პარლამენტში ბიუროსა და პლენარული სხდომები გაიმართა, რომლებზეც „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებულ კანონპროექტს მეორე მოსმენით კენჭი უყარეს და ჩაგდეს

პარალელურ რეჟიმში, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. ის, რომ „ქართული ოცნება“ აღნიშნულ კანონპროექტს პარლამენტიდან და ვენეციის კომისიიდან გაიწვევდა, 9 მარტს, სპეციალურად გამართულ პრიფინგზე, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე მამუკა მდინარაძემ განაცხადა.

ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილი პარლამენტის ამ გადაწყვეტილებას კვლავ სკეპტიკურად უყურებს, ისინი ფიქრობენ, რომ ხელისუფლება აღნიშნულ კანონპროექტს ისევ აქტუალურს გახდის.

- ჩვენი, უმრავლესობის აზრით, რომლებიც ამ აქციებზე ვდგავართ და გვჯერა ევროპული მომავლის, ხელისუფლების მიერ ნათქვამი არცერთი სიტყვა, სანდო არაა. ამის საფუძვლიანი ეჭვიც გვაქვს, მიუხედავად იმისა, რომ ახლა მოქალაქეების კარნახს მიჰყვებიან და მოთხოვნები დააკმაყოფილეს. ახლა მათი პროპაგანდა მუშაობს იმაზე, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და ის ხალხი, რომლებიც ღირებულ საქმეს აკეთებენ, გააშავოს. მთავარია, ყველას მივაწვდინოთ სწორი ინფორმაცია ამ კანონის არსის შესახებ. ამის გავრცელებაში ჟურნალისტებს, თქვენ, უდიდესი მისია გაკისრიათ. არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ხელისუფლება ისევ შემოაბრუნებს ამ კანონპროექტს, ისევ დააყენებენ დღის წესრიგში, რისი სურვილიც არ გვაქვს. უნდა გაიგოს ყველამ, რომ ამდენი ადამიანი რომელიმე პარტიის ინტერესების გათვალისწინებით არ იბრძვის, მათ სურთ ევროპისკენ სწრაფვა და ევროპული მომავალი, - თქვა გაზეთ „აჭარასთან“ საუბრისას ახალგაზრდული ორგანიზაცია „ცვლილებები თანაბარი უფლებებისათვის“ ხელმძღვანელმა ნინო ჩხაიძემ.

- ჩვენ გვინდა თავისუფალი ქვეყანა, სადაც სამშობლო იქნება არა მხოლოდ პოლიტიკურად თავისუფალი, არამედ ყველა ასპექტში. უპირველესად, როგორც მოქალაქე, ვაკვირდები ჩემ მიერ არჩეული ადამიანის მუშაობას და ვხედავ სრულ ქაოსს ამ პროცესში. უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენელს საკუთარი აზრი არ გააჩნია, რაც ყველაფერზე მეტყველებს. ახლა სხვა გზა არ დარჩენიათ და ოპოზიციას აბრალებენ, რომ თითქოს ახალგაზრდები მართულები არიან პოლიტიკოსების მიერ. ამ განცხადებებით შეურაცხყოფას აყენებენ ახალგაზრდობას, სტუდენტებს, რომლებიც მამაცურად დგანან და მშვიდობიან, ღირსეულ მომავალს

იხ. გვ-3 გვ.

გზები აღდგენილია

2

«უკრაინის ომმა გამოაფხიზლა მსოფლიო»

3

ISSN 2720-8702

9 772720 870003

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

გზები აღდგენილია

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

აჭარის მთიანეთში ნალექების კლებასთან ერთად, ხულოში, მეწყრული პროცესების სალიკვიდაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს

მეწყრის შედეგად ჩაკეტილი საავტომობილო გზები მეტწილად გახსნილია.

მიმდინარე სამუშაოებს აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრი ზაზა შავაძე, ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე, აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე მამუკა თურმანიძე, თავმჯდომარის მოადგილე როლანდ ბოლქვაძე აკვირდებოდნენ. 9 მარტს საავტომობილო მიმოსვლა აღდგა ფაჩხისა და გელაძეების მიმართულებით, სადაც მეწყრული პროცესები ღამით განვითარდა. გაწმენდითი სამუშაოები ახლაც მიმდინარეობს.

ალტერნატიული გზაა გახსნილი მცირედ დასახლებულ უბნებში, სადაც დროებით ვერ ხერხდება საავტომობილო გზის ნაწილის გასუფთავება.

მეწყერსაშიშ ზონებში მცხოვრები 10-ზე მეტი ოჯახი დროებით საიმედო ტერიტორიებზე გადაიყვანეს. ბინის ქირას ადგილობრივი თვითმმართველობა ანაზღაურებს.

მეწყერი – დიდაჭარის კაშხალთან

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

რამდენიმე წლის წინ სოფელ დიდაჭარის ტერიტორიაზე მეწყრული პროცესები განვითარდა. „შუახევიჰესისა“ და დიდაჭარის კაშხლის მშენებლობისას, რიგი სამუშაოები შესრულდა, რამაც

პროცესები თითქოს შეაჩერა, თუმცა წლევანდელმა უხვმა ნალექებმა მეწყერი ისევ გააქტიურა. 9 მარტს, საღამოს საათებში, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის 86-ე კილომეტრზე (დიდაჭარის კაშხალთან) მეწყერის ჩამოწოლის გამო, დროებით აიკრძალა ყველა სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა.

გაწმენდით სამუშაოებზე მობილიზებული იყო შესაბამისი ტექნიკა.

მოძრაობა დროებით აღდგა.

კედაგოგებს ამაგს არ უკარგავენ

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

შუახევის მუნიციპალიტეტის საჯარო და საქართველოს საპატრიარქოს ხიჭაურის წმინდა გრიგოლ ხანძთელის სკოლაში მრავალი პედაგოგი საქმიანობს, რომლებსაც 40-წლიანი და მეტი პედაგოგიური მუშაობის სტაჟი აქვთ, მაგრამ პედაგოგიურ ჯილდოზე გასვლას, ისევ აღსაზრდელებთან მუშაობა არჩიეს, სასერტიფიკაციო გამოცდები წარმატებით ჩააბარეს და მინდობილ საქმეს ისევ პროფესიონალურ დონეზე ასრულებენ. შუახევის საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ინიციატივით, 33 ქალი პედაგოგი შუახევის მერიაში მოიპატიჟეს.

მათ დედისა და ქალთა დღესასწაულები მიულოცეს შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველმა მოადგილემ ჯემალ სურმანიძემ, შუახევის რესურსცენტრის უფროსმა ედუარდ გოგრაჭაძემ, მერისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებმა გურამ ზოიძემ, რუსუდან შავაძემ, გიორგი კეკელიძემ, პროფკავშირების რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლევან ნატარიძემ და სამახსოვრო ადრესები გადასცეს. პედაგოგებმა ნათელა ფუტკარაძემ, თამარ ცინარიძემ, ნანული დავითაძემ, ცირა დუმბაძემ, ფატი მიქელაძემ ამაგის დაფასებისთვის მადლობა გადაიხადეს.

საინტერესო იყო შუახევის სასპორტო სკოლის დარბაზში გამართული ღონისძიება. აქ თამუნა ქარცივაძისა და შუახევის მუნიციპალური გენდერული საბჭოს თავმჯდომარის ფატი ჭაღალიძის ორგანიზებით, ჭვანის ხეობის მეწარმე ქალების ნახელავები გამოფინეს, რასაც ფოტოებიც ალამაზებდა.

შუახევის საჯარო სკოლის დირექტორმა მზია გოგაძემ, პოეტმა ვახტანგ გოგრაჭაძემ დედისა და ქალთა როლზე ისაუბრეს. მოზეიმეთა წინაშე მუსიკალური ნომრებით წარსდგნენ შუახევში ახლად ჩამოყალიბებული მუსიკალური ბენდი „ასოცდაცამეტი“, სახელოვნებო სკოლასა და კულტურის ცენტრთან არსებული მოსწავლეთა ანსამბლი და ქალთა ფოლკლორული ანსამბლი „ნაი“.

- ამაგდარ და ღვაწლმოსილ პედაგოგებს შორის ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც ფასდაუდებელი წვლილი ჩადეს მომავალი თაობის აღზრდაში, ისინი ყოველთვის გვახსოვს, - გვითხრა ომარ ტაკიძემ.

დასასრულ პედაგოგები პროფკავშირების ინიციატივით გამართულ სადილზე მიიპატიჟეს.

შუახევის იუსტიციის სახლში დასაქმებულ ქალებს: ნანი ზოსიძეს, ეკატერინე ელიაშვილს, ნათია ივანაძეს, მარიამ გვიანიძეს, ნანა კონცელიძეს, გულიკო მუკუტაძეს დედისა და ქალთა დღესასწაულები შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, მოადგილე გიორგი კეკელიძემ მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს.

- 28 წელია შუახეველთა რძალი ვარ. ამ პერიოდში სხვადასხვა სტრუქტურებში ვიმუშავე. პირველი შემთხვევაა, რომ ადგილობრივ ხელმძღვანელობას იუსტიციის სახლში დასაქმებული ქალები გავახსენდით. მადლობა მათ ამაგის დაფასებისთვის, - გვითხრა ეკატერინე ელიაშვილმა.

საჩუქარი – მარტოხელა დედას

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

2021 წლის დეკემბერში, ახლად არჩეული შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველ სხდომაზე, საკრებულოს თავმჯდომარის როსტომ ლორთქიფანიძის ინიციატივით, საქველმოქმედო

ფონდი შეიქმნა. ფონდს საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრები ავსებენ.

ამ ხნის განმავლობაში ათეულობით ოჯახს დაეხმარნენ საყოფაცხოვრებო ტექნიკითა თუ ნივთებით. დედისა და ქალთა კვირეულის დღეებში, ნიგაზეულელ მარტოხელა დედას მედეა ქარცივაძე-კეკელიძეს, ფონდში მობილიზებული თანხით პლაზმური ტელევიზორი შეუძინეს.

საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მისი მოადგილე გიორგი კეკელიძე მარტოხელა დედას, სახლში ესტუმრნენ და საჩუქარი გადასცეს.

- მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, ერთი ქალიშვილი აწყურში გათხოვდა, მეორე - ხელვაჩაურში. ოჯახს მარტო ვუძღვები. სახელმწიფოსგან არავითარ შემწეობას არ ვღებულობ. მწირი ნიადაგი წლის სამყოფ მოსავალსაც არ მაძლევს. იმდენი თანხა ვერ დავზოგე, რომ ტელევიზორი შემეძინა. ახლა თავს მაინც შევიქცევ, - გვითხრა მედეამ.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო საქველმოქმედო აქციებს აგრძელებს.

უარი – საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობაზე

არასამთავრობო ორგანიზაციები ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებას ავრცელებენ. მასში ნათქვამია, რომ ისინი ვეღარ ხედავენ საპარლამენტო უმრავლესობასთან ამ ფორმატში თანამშრომლობის პერსპექტივას.

„სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები 2015 წლიდან აქტიურად ვთანამშრომლობთ საქართველოს პარლამენტთან ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) მიმართულებით.

2015 წლიდან საქართველოს პარლამენტი იყო ერთ-ერთი ლიდერი OGP-ში. ამ პერიოდში, საპარლამენტო ღიაობის მხრივ ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმები განხორციელდა, რომელთა მონაწილე და მთავარი ინიციატორი იყო სამოქალაქო საზოგადოება. საქართველოს პარლამენტში შეიქმნა ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო, რომელთანაც არსებობს საკონსულტაციო ჯგუფი, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების, საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების შემადგენლობით.

ჩვენ წლების განმავლობაში, კანონმდებლებთან და პარლამენტის აპარატთან ერთად, დონორი ორგანიზაციების ფინანსური დახმარებით, ვმუშაობდით და მხარს ვუჭერდით რეფორმებს, რომლებიც მოიცავდა საკანონმდებლო ცვლილებებს და პრაქტიკულ სამუშაოებს. რეფორმები განხორციელდა საპარლამენტო ღიაობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის და ინოვაციების და ტექნოლოგიების განვითარების მიმართულებით, რამაც ხელი შეუწყო საპარლამენტო საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მეტ ღიაობას, ინკლუზიური გარემოს შექმნას, საკანონმდებლო პროცესში მოქალაქეების ჩართულობას. დონორი ორგანიზაციების დახმარებით შეიქმნა პარლამენტის ვებგვერდი, პარლამენტის შენობის ინფრასტრუქტურა გახდა შშმ პირებზე ადაპტირებული, პარლამენტის ვებგვერდზე გამოქვეყნდა სხვადასხვა ინფორმაცია, მათ შორის ლობისტების რეესტრი, სტატისტიკური მონაცემები და ასე შემდეგ. დაინერგა საპარლამენტო პეტიციების პლატფორმა, შეიქმნა და ტექნიკით აღიჭურვა მოქალაქეთა მისაღები, შეიქმნა პარლამენტის მობილური აპლიკაცია და სხვა.

ამ რეფორმების განხორციელებით, ღია მმართველობის პარტნიორობის საკმაოდ დიდ თანამეგობრობაში საქართველო წლების განმავლობაში იყო ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანა და პარლამენტის და სამოქალაქო საზოგადოების ეს წარმატებული თანამშრომლობის ფორმატი იყო მაგალითი ბევრი ქვეყნისთვის. საქართველოს პარლამენტთან სამოქალაქო საზოგადოების თანამშრომლობითი პროცესის ლოკალური და საერთაშორისო წარმატების ერთ-ერთი ყველაზე კარგი მაგალითი იყო 2015 წლის ოქტომბერში, მექსიკაში გამართულ OGP-ს გლობალურ სამიტზე OGP-ს სამოქალაქო საზოგადოების დაწესებული პრიზის მიღება საქართველოს პარლამენტის მიერ. 2018 წელს საქართველოში გაიმართა ღია მმართველობის გლობალური სამიტი და საქართველოს პარლამენტმა უმასპინძლა ასობით კოლეგას და სტუმარს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენ მოგვიწია მუშაობა სამი მოწვევის პარლამენტარებთან. ღია მმართველობაზე მუშაობის პროცესი იყო თანამშრომლობითი ფორმატის, მასში მონაწილეობდა როგორც საპარლამენტო უმრავლესობა, ისე ოპოზიცია, მუდმივმოქმედი საბჭოს წევრები იყვნენ ყველა ფრაქციის წარმომადგენლები. საპარლამენტო ღიაობის პროცესში მიღწევებიც ამ ერთობლივი მუშაობის შედეგია.

მაშინ, როდესაც სამოქალაქო ორგანიზაციები თანამშრომლობენ საპარლამენტო უმრავლესობასთან, მხარს უჭერენ და ფინანსურ დახმარებას უწევენ პარლამენტს რეფორმების განხორციელებაში, საპარლამენტო უმრავლესობამ ინიცირება გაუკეთა რუსეთში არსებული კანონის მსგავსი „უცხოური გავლენის შესახებ“ კანონს, რომლის მიზანი იყო საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იძულება დარეგისტრირდნენ „უცხოეთის გავლენის აგენტების რეესტრში“, მათი სტიგმატიზება და საზოგადოებაში დისკრედიტირება, მათი კონტროლი, საბოლოო ჯამში კი მათი საქმიანობის შეზღუდვა და გაუქმება.

იხ. მე-7 გვ.

„უკრაინის ომმა გამოაფხიზლა მსოფლიო“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

დღეს უკრაინაში წყდება ევროპის მომავალი, რუსეთ-უკრაინის ომმა ბევრ რამეს ახადა ფარდა, ერთიანობა წარმოაჩინა. ვხედავთ, როგორ ამარაგებენ იარაღით, როგორ ეხმარებიან ფინანსურად, დიდია პოლიტიკური მხარდაჭერაც

ერთი წელია, უკრაინული არმია არა მარტო იგერიებს რუსეთის არმიას, არამედ კონტრშეტევაზეც გადადის და ოკუპირებულ ტერიტორიებს მეთოდურად ათავისუფლებს. ახლა ძირითადი ბრძოლები დონეცკისა და ლუგანსკის რეგიონებში მიმდინარეობს. აქედან გამომდინარე, არაერთი კითხვა ისმის, რომელთა შესახებ გვესაუბრება აჭარის სავაჭრო-სამრწველო პალატის მრჩეველი დიპლომატიურ საკითხებში, ახალგაზრდა ბიზნესმენთა ასოციაციის თავმჯდომარე, ბსუ-ის დოქტორანტი (ლინგვისტიკა - დიპლომატიურ დისკურსში) ***ლაშა ბოლქვაძე,*** *რომელიც ამავე უნივერსიტეტში მიწვეულია იაპონური ენის ლექტორად.*

- რა ცხადყო საქართველოს 2008 და უკრაინის 2014 წლების სამხედრო მოვლენებმა დღევანდელი მსოფლიოს პოლიტიკური გადასახედიდან?

- ცხადყო ის, რომ რუსეთთან ურთიერთობა არცერთ შემთხვევაში არ არის სწორი, საიმედო და გამართლებული. ეს 2008 წელს ყველამ დაინახა და მანამდეც ბევრი ამის მაჩვენებელი ფაქტიც იყო. სამწუხაროდ, ეს არავისთვის აღმოჩნდა მაგალითი და არ მიიღეს სათანადო ზომები, რითაც რუსეთს მისცეს შესაძლებლობა, მეტი გამბედაობით დასხმოდა თავს უკრაინას, მაგრამ ომმა საკმაოდ შეაჯანჯღარა და გამოაფხიზლა მსოფლიო.

- კიევში ამას წინათ აშშ-ის პრეზიდენტი იმყოფებოდა. ამით რა გზავნილი გაუგზავნა მან რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოს?

- მხარდაჭერის დასტური, ხოლო სხვებს - მსგავსად მოქცევის მოწოდება და მითითება.

- ექსპერტები იმასაც ამბობენ, დასავლეთის მიზანია, ომი რამდენიმე თვით გაახანგრძლივოს და რუსეთი გამოფიტოს, რათა შეაგუოს დამარცხებასო...

- ხანგრძლივობა უფრო მეტ პოლიტიკურ-დიპლომატიურ, ეკონომიკურ პრობლემებს ნიშნავს, ამიტომ ვერ დავეთანხმები ამ მოსაზრებას. მოსაზრება ერთია, რეალობა კი სხვა. ყველა ქვეყნისათვის სჯობს ამ ომის მალე დამთავრება.

- ამბობენ, რომ გაზაფხულზე უკრაინული არმია კონტრშეტევაზე გადავა ოკუპირებული ტერიტორიების გასათავისუფლებლად, მით უფრო, რომ დასავლეთმა მას შეტევითი იარაღი გადასცა.

- ვარაუდით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუმცა დასკვნების გაკეთება და მომავლის სწორად განჭვრეტა ძალიან რთულია. თუმცა იმედი ყოველთვის გვაქვს, რომ მალე უკრაინის სასარგებლოდ დასრულდება საომარი მოქმედებები.

- აქვს თუ არა რუსეთს დასავლეთის ტექნიკასთან დაპირისპირების საშუალება?

- არ შეგვიძლია რუსეთის შესაძლებლობებზე ასე მარტივად ვიმსჯელოთ და დავასკვნათ, რომელს აქვს პრიორიტეტი, თუმცა ცალსახაა, რომ დასავლეთი ყოველთვის ყველა ასპექტში მონახავს გზებს მის დასასუსტებლად.

- „პუტინს სურდა, გამხდარიყო 21-ე საუკუნის სტალინი, მაგრამ გახდა ჰიტლერი“, - განაცხადა მონღოლეთის ყოფილმა პრეზიდენტმა ცახიაგინ ელბეგდორჟმა. მსგავსი შეფასებები სხვა ლიდერებისგანაც ისმის. ეს რისი მანიშნებელია?

- იმის, რომ პუტინს მანამდე არსებულ ლიდერებზე მეტად თუ ვერა, მსგავსად გაბატონება მაინც სურს, მაგალითად, ტერიტორიების გაფართოება და მათზე კონტროლი, რაც მისცემს შესაძლებლობას, გახდეს ისტორიული მემკვიდრეობის მთავარი ნაწილი.

- რუსეთი რომ არაპროგნოზირებადი ქვეყანაა, ცნობილია. რამდენად მოსალოდნელია, მან ატომური იარაღი გამოიყენოს უკრაინის წინააღმდეგ?

- ვფიქრობ, ეს მათთვის არ არის სარგებლის მომტანი და არ წავლენ ასეთ რადიკალურ ნაბიჯზე, თუმცა გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნისას ამგვარი მოლოდინიც შეიძლება გაჩნდეს.

- უკრაინაში რუსეთის დანაშაულზე, რასაკვირველია, ბევრს ლაპარაკობენ, მაგალითად, აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა რუსეთს დამნაშავე სახელმწიფო უწოდა...

- ასეთი თანამდებობის პირების განცხადება ყოველთვის მნიშვნელოვანი და ყურადსაღებია. ეს ერთგვარი გზავნილია მსოფლიოსთვის, რათა რუსეთთან ურთიერთობებს გადახედონ და სათანადოდ უპასუხონ.

- ანალიტიკოსები აცხადებენ, რომ როცა რუსეთი უკრაინაში დამარცხდება, შესაძლოა, კრემლმა მორიგი აგრესია მოლდოვაზე განახორციელოს ან აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონები მიიერთოს. რას ფიქრობთ?

- დამარცხება ნიშნავს კრემლის ფაქტობრივ ჩამოშლას. არა მგონია, ამის შემდეგ ამგვარი ქმედებისთვის შესწევდეს ძალა.

- „თუ უკრაინა წარმატებული ვერ იქნება, საქართველოს შეუძლია აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის ოდესმე დაბრუნება დაივიწყოს“, - ამბობს აშშ-ის სამხედრო ძალების ყოფილი ხელმძღვანელი უკრაინაში, გენერალი ბენ ჰოჯერი...

- ბენ ჰოჯერი პესიმისტი ყოფილა, ჩვენ ქართველები კი ამას არასდროს შევეგუებით - ყოველთვის ოპტიმისტურად და იმედიანად ვართ განწყობილნი, მჯერა, ეს დრო აუცილებლად მოვა, საქართველოს ვიხილავთ გამთლიანებულს და გაბრწყინებულს.

- დასავლეთი რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ქმედებას მიმართავს როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური კუთხით. დაწესებული სანქციები ამის თვალსაჩინო მაგალითია. რუსეთზე ზემოქმედებისთვის დასავლეთს კიდევ რა ბერკეტები რჩება?

- უფრო მეტი სანქციის შემოღებაა საჭირო. ისინი უნდა გამკაცრდეს. დასავლეთისთვის რთულია ეს, თუმცა აუცილებელია ქამრების შემოჭერა.

- როგორც ცნობილია, ყველა ომის შემდეგ ხდება მსოფლიოს ახალი გადანაწილება. ამ მიმართებით უკრაინის და საქართველოს ადგილი როგორი იქნება?

- გადახედვა, გადანაწილება და გადახარისხება აუცილებლად მოხდება. არ მინდა ვიფიქრო, რომ უკრაინა დამარცხდება. ვიმედოვნებთ, რომ ეს ასე არ იქნება. უკრაინის გამარჯვება არის საქართველოს გამარჯვება, ორივე ქვეყნის აღმავლობის მეტი შესაძლებლობა.

უცხოეთი

ჩინეთის ეროვნული სახალხო კონგრესის 3 ათასამდე წევრმა 69 წლის სი ძინპინი ქვეყნის პრეზიდენტად უპრეცედენტო - მესამე ხუთწლიანი ვადით ერთხმად აირჩია. კენჭისყრა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, ელექტრონული დათვლას კი დაახლოებით 15 წუთი დასჭირდა. პრეზიდენტის პოსტზე სი ძინპინი ერთადერთი კანდიდატი იყო. ჩინეთში პრეზიდენტობის ორვადიანი ლიმიტი 2018 წელს გაუქმდა.

* * *

საფრანგეთის სენატმა მხარი დაუჭირა ქვეყნის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის ინიცირებულ კანონპროექტს, რომელიც საპენსიო ასაკის 62-დან 64 წლამდე გაზრდას ითვალისწინებს. საპენსიო რეფორმა პარლამენტის ზედა პალატამ თვის ბოლოს უნდა განიხილოს. სენატის გადაწყვეტილების გავრცელების შემდეგ ქვეყანაში მასშტაბური დემონსტრაციები დაანონსდა. ემანუელ მაკრონის ინიციატივას იმთავითვე მოჰყვა საფრანგეთის მოსახლეობის მწვავე კრიტიკა. იანვარსა და თებერვალში ქვეყნის მასშტაბით მილიონზე მეტი დასაქმებული გაიფიცა.

* * *

პოლონეთმა ბელარუსთან სახმელეთო საზღვრის გამაგრება დაიწყო, მათ შორის ე. წ. ტანკსაწინააღმდეგო ზღარბების მოწყობით. როგორც პოლონეთის თავდაცვის მინისტრმა „ტვიტერზე“ დაწერა, ჯარისკაცებმა დაიწყეს თავდაცვითი სიმაგრეების მშენებლობა. „ეს არის ჩვენი თავდაცვისა და შეკავების სტრატეგიის ნაწილი“, - აცხადებს მარიუშ ბლაშჩაკი. პოლონეთმა ბელარუსის სახღვარზე 5 მეტრი სიმაღლისა და 190 კმ სიგრძის ბარიერის მშენებლობა გასულის წლის ზაფხულში დაასრულა.

* * *

ისრაელის დედაქალაქ იერუსალიმის აეროპორტში სასამართლო რეფორმის მოწინააღმდეგეებმა საპროტესტო აქცია გაართეს მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ საზღვარგარეთ ოფიციალური ვიზიტის შემდეგ იერუსალიმის ბენ გურიონის აეროპორტში ჩამოფრინდებოდა. დემონსტრაციაში მონაწილეობა ასობით ადამიანმა მიიღო. 21 თებერვალს ისრაელის პარლამენტმა სასამართლო რეფორმის პროექტი პირველი მოსმენით დაამტკიცა. საკანონმდებლო ცვლილებები მოსამართლეების შერჩევის პროცესში ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდასა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უფლებების შემცირებას ითვალისწინებს.

* * *

ბელარუსის ლიდერმა სიკვდილით დასჯა დააკანონა. ალექსანდრე ლუკაშენკომ ხელი მოაწერა კანონს, რომელიც სახელმწიფო ღალატისთვის გასამართლებული თანამდებობის პირებისა და სამხედრო მოსამსახურეების სიკვდილით დასჯას ითვალისწინებს. დოკუმენტის მთავარი მიზანი ექსტრემისტული, ტერორისტული და ანტისახელმწიფოებრივი დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაა. ბელარუსი ევროპაში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც სიკვდილით დასჯის კანონი მოქმედებს.

მოამზადა
ია შველიძემ

„ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული კანონპროექტი პარლამენტიდან გაწვეულია

პირველდი გვერდიდან

მოითხოვენ. მართული სწორედ ის 76 დეპუტატია, რომლებმაც ამ კანონპროექტს მხარი დაუჭირეს, -

განაცხადა ჩვენთან საუბრისას „ლელო საქართველოსთვის“ ბათუმის ორგანიზაციის თავმჯდომარე **გენო თებიძემ.**

„ქართული ოცნების“ მიერ 9 მარტს გაჟღერებული გადაწყვეტილების მიუხედავად, აქციები თბილისსა და ბათუმში მაინც გაგრძელდა. საპროტესტო აქციის მონაწილეთა მთავარი მოთხოვნა შვიდ და რვა მარტს დაკავებული ადამიანების გათავისუფლება და საპარლამენტო სესიის დროზე ადრე ჩატარება იყო, რაც მალევე დაკმაყოფილდა.

- შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფების თანამშრომლების მიერ მიმდინარე წლის 7 და 8 მარტს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართულ საპროტესტო აქციაზე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად დაკავებული ყველა პირი გათავისუფლდა. დაკავებულთა ნაწილი წარდგენილ იქნა სასამართლოს წინაშე, ხოლო დანარჩენი პირები გათავისუფლდნენ წინასწარი დაკავების იზოლატორში ყოფნის კანონით განსაზღვრული ვადის ამოწურვის საფუძველზე. შინაგან საქმეთა სამინისტროში 7-8 მარტს მომხდარ ძალადობრივ ფაქტებთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა და 187-ე მუხლებით გრძელდება. ტარდება საგამოძიებო მოქმედებები იმ პირთა დადგენის, იდენტიფიცირებისა და დაკავების მიზნით, რომლებმაც პარლამენტის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარე საპროტესტო აქციაზე განახორციელეს პოლიციელებზე თავდასხმა და სხვა ძალადობრივი ქმედებები“, - ნათქვამია შსს-ს განცხადებაში. ხელისუფლების გადაწყვეტილებას საერთაშორისო პარტნიორების მხრიდან გამოხმაურებები მოჰყვა. „ქართველმა ხალხმა კიდევ ერთხელ ნათლად თქვა, რომ საქართველოს ერთადერთი არჩევანი უსაფრთხო და წარმატებული ევროპული მომავალია, მივესალმებით „ქართული ოცნების“ გადაწყვეტილებას „უცხოური გავლენის შესახებ“ ორივე კანონპროექტის გაწვევასთან დაკავშირებით. მოვუწოდებთ მმართველ პარტიას, რომ ოფიციალურად უარყოს ეს კანონპროექტები და აღარ მიჰყვეს ამ ტიპის კანონმდებლობას, რომელიც შეუთავსებელია ქართულ და ევროპულ ღირებულებებთან და ფუნდამენტური თავისუფლებების დაცვასთან. მოვუწოდებთ საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებს, გულწრფელად, ერთად იმუშაონ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებისთვის სასწრაფოდ საჭირო რეფორმებზე, რადგან ეს საქართველოს მოქალაქეების მკაფიო სურვილია“, - წერია შეერთებული შტატების დიპლომატიური მისიის განცხადებაში. კანონპროექტის გამოთხოვნის თაობაზე განცხადება გაავრცელა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების საკითხებში ჯოზეფ ბორელმა. მან „ტვიტერის“ საკუთარ გვერდზე დაწერა: „ქართველები გამოვიდნენ ქუჩებში დემოკრატიისა და ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვის გამოსახატავად. უცხოური გავლენის შესახებ კანონპროექტის გაწვევა კარგი ნიშანია. ახლა უნდა ვკონცენტრირდეთ სამართლებრივ ნაბიჯებზე, რომელთა გაყოლაც აუცილებელია“.

გადაწყვეტილებას მიესალმება ასევე ევროკავშირი, რომელიც მოუწოდებს საქართველოს ყველა პოლიტიკურ ლიდერს, განაახლონ ევროკავშირის მხარდამჭერი რეფორმები ინკლუზიური და კონსტრუქციული გზით და საქართველოს კანდიდატის სტატუსის მისაღწევად 12 პრიორიტეტის შესაბამისად.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პარლამენტმა 7 მარტს პირველი მოსმენით მიიღო მოძრაობა „ხალხის ძალის“ მიერ ინიცირებული „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის“ შესახებ კანონპროექტი, რომელიც ყველა ა(ა)იპ-ს და მედიაორგანიზაციას, რომელთა შემოსავლის 20%-ზე მეტი უცხოეთიდან ფინანსდება, უცხოური გავლენის აგენტად რეგისტრაციას ავალდებულებდა. კანონპროექტმა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში მასობრივი საპროტესტო აქციები გამოიწვია.

„ქართულ ოცნებაში“ ოპოზიციისა და მესამე სექტორის ბრალდებებს უარყოფენ და ამბობენ, რომ ამ დღეების განმავლობაში კარგად გამოჩნდა, ვის უნდა ევროპაში ღირსეულად შესვლა.

პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილება არის ცნობილი, დეტალურადაა განმარტებული ის მიდგომები და პოზიცია, რომელიც პარტიამ დააფიქსირა. მე, უბრალოდ, თქვენი ყურადღება იმაზე მინდა გავამახვილო, რომ უკვე მერამდენედ დასტურდება, ამ ქვეყნისთვის რომელ პოლიტიკურ ძალას რა უნდა, რა არის მნიშვნელოვანი. დადასტურებულად ჩანს, რეალურად ვის სურს განვითარება, წინსვლა, ევროპაში შესვლა და ვის არ უნდა ამ ქვეყანაში სტაბილურობა და უნდა ომი, - განაცხადა ფრაქცია აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნება, დემოკრატიული საქართველოს“ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე **ილია ვერძაძემ.**

არქეოლოგის რთულ და საპატიო საქმეს ქალებიც კარგად ასრულებენ

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ჩვენი სტუმარია სსიპ „აჭარის მუზეუმის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის“ ექსპოზიციის სამსახურის უფროსი, სერტიფიცირებული გიდი-ტრენერი, კერძო სკოლა „თაობის“ ისტორიის პედაგოგი, არქეოლოგიის აკადემიური დოქტორი ***იზოლდა დუმბაძე***

- ქალბატონო იზოლდა, რამ გაგაპირობა, რომ ქალისთვის ერთობ რთული და საპატიო პროფესია - არქეოლოგობა აირჩიეთ?

- ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, ჩვენი სოფლის სკოლის დირექტორის თხოვნით, უნივერსიტეტში სწავლის პარალელურად, მუშაობა დავიწყე თხილნარის საშუალო სკოლაში ისტორიის მასწავლებლად, რაც ძალიან რთული იყო უტრანსპორტობის დროს. 1995 წელს გავთხოვდი. ეს პერიოდი დაემთხვა დღეს უკვე საერთაშორისო მნიშვნელობის ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის დაარსებას, რაც ქვეყნის სახელოვანი არქეოლოგის, ბატონ ამირან კახიძის დამსახურებაა. იგი ჩემი ლექტორი იყო პირველი კურსიდანვე. მიმდინარეობდა მუზეუმის კადრებით შევსების პროცესი. ასე აღმოვჩნდით მისი რჩეული სტუდენტები არქეოლოგიურ მუზეუმში. სხვადასხვა წლებში ვმუშაობდი ცალკეულ პოზიციაზე. 2001 წლიდან კი ვარ ექსპოზიციის სამსახურის უფროსი, ამავდროულად, ქართულენოვანი გიდი. ხშირად მიწევდა არქეოლოგიურ ექსპედიციებში ყოფნა ბატონ ამირანთან ერთად. წლებმა გამოცდილება მოიტანა. ბატონი ამირანი მირჩევდა, დოქტორანტურაში ჩამებარებინა, თუმცა ერთდროულად პატარა ბავშვები, დიდი ტრადიციული ოჯახი და სწავლა, ჩემთვის რთული აღმოჩნდა. არქეოლოგია ქალისთვის მართლაც რთული პროფესიაა. ეს, უმეტესწილად, პრაქტიკაა. ამბობენ: სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო და... 2017 წელს ჩავაბარე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის ფაკულტეტზე, რა თქმა უნდა, არქეოლოგიის მიმართულებით. ჩემი საკვლევი თემა იყო - „მევენახეობა-მეღვინეობა აჭარაში არქეოლოგიური ძეგლების მიხედვით“. ქართული ღვინისა და ვაზის სიყვარული მამაჩემის დამსახურებაა.

- აკადემიური დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად რა სამუშაოები გასწიეთ?

- ხარისხზე მუშაობა ხანგრძლივი და რთული პროცესია. თემაზე მუშაობის დროს შეძლებისდაგვარად ვმონაწილეობდი არქეოლოგიურ ექსპედიციებში, კონფერენციებში, ვმუშაობდი ფონდებში, ბიბლიოთეკებში. დაიწყო პანდემიის პერიოდი, რის გამო, დაცვის გადავადებაც მომიხდა. 2022 წლის 9 თებერვალს მქონდა სამეცნიერო თემის დაცვა.

- მეცნიერ ხელმძღვანელზე რას იტყვით?

- საბედნიეროდ, იმ რჩეულთა სიაში მოვხვდი, ვისი სამეცნიერო ხელმძღვანელებიც იყვნენ ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ამირან კახიძე და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მთავარი კურატორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი მინდია ჯალაბაძე. როცა ბატონ ამირანს ვთხოვე ყოფილიყო ჩემი სამეცნიერო ხელმძღვანელი, რაღა დროს ჩემი ხელმძღვანელობაო, მითხრა, თუმცა დამთანხმდა და ძალიან საინტერესო ნაბიჯი გადადგა ჩემდა სასარგებლოდ - თანახელმძღვანელად დამიყენა ბრწყინვალე პიროვნება, არქეოლოგი მინდია ჯალაბაძე. იგი იკვლევს მეღვინეობის უძველეს ძეგლებს, საიდანაც დამტკიცდა ქართული ღვინის არქაულობა. გამიმართლა, რომ ასეთ პიროვნებებთან მქონდა ურთიერთობა.

- თამარის დასახლებაში აღმოჩენილი ქვევრი რამდენად საინტერესო იყო?

- თამარის დასახლებაში შემთხვევით აღმოჩენილი ქვევრი მეშვიდე-მერვე საუკუნეებით თარიღდება. მსგავსი ტიპის ქვევრების მომრავლება აჭარაში ჯერ კიდევ ადრე შუასაუკუნეებიდან იწყება. ასეთი ფორმისა და შემკულობის (ჯაჭვისებური ორნამენტი ყელის არეში და მსხლისებური მოყვანილობა) ქვევრთა პირველი გავრცელება სამხრეთ შავიზღვისპირეთს უკავშირდება, პირველი ნიმუშები კი გონიოს ციხის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

- არანაკლები გამოხმაურება მოჰყვა სინდიეთის მარანსა და სოფელ წინსვლაში ჩატარებულ ექსპედიციებს. მოკლედ გვითხარით მათ მნიშვნელობაზე.

- სინდიეთის მარანი მაჭახლის ხეობაში მდებარეობს, რომელიც მდიდარია მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის საწნახლებით, მარნებით, დღემდე შემორჩენილი აბორიგენული ვაზის ჯიშებითა და სხვ. მათი სომრავლე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რა დიდი როლი ეკავა მეურნეობის ისეთ დარგს ამ ხეობაში, როგორიცაა მევენახეობა-მეღვინეობა. აღსანიშნავია ასეეთ შავიზღვისპირეთს უკავშირდება, პირველი ნიმუშები კი გონიოს ციხის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

- არანაკლები გამოხმაურება მოჰყვა სინდიეთის მარანსა და სოფელ წინსვლაში ჩატარებულ ექსპედიციებს. მოკლედ გვითხარით მათ მნიშვნელობაზე.

- სინდიეთის მარანი მაჭახლის ხეობაში მდებარეობს, რომელიც მდიდარია მეღვინეობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის საწნახლებით, მარნებით, დღემდე შემორჩენილი აბორიგენული ვაზის ჯიშებითა და სხვ. მათი სომრავლე ხაზს უსვამს იმ ფაქტს, თუ რა დიდი როლი ეკავა მეურნეობის ისეთ დარგს ამ ხეობაში, როგორიცაა მევენახეობა-მეღვინეობა. აღსანიშნავია ასეეთ შავიზღვისპირეთს უკავშირდება, პირველი ნიმუშები კი გონიოს ციხის ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

- ხიხაძირში აღმოჩენილი ქვევრი ან ორი ნაეკლესიარის შესახებ რა ინფორმაციას ფლობთ?

- სოფელი თხილნარი 12 კილომეტრითაა ქალაქ ბათუმს მოცილებული. უცნაურია, რომ აქ, დღემდე შეუსწავლელი ორი ნაეკლესიარი მდებარეობს. ერთი - მიკროტოპონიმ ომბოლოში, მეორე - მურმანეთში. ორივესთვის ჩვენს წინაპრებს გამორჩეული მდებარეობა შეურჩევიათ. თვალს თუ გადავავლებთ მდინარე ჭოროხისწყლის სოფლებში არსებულ ეკლესიებს (ავგია, ერგე, სიმონეთი...), მათი თვალსაჩინო მდებარეობა სტრატეგიულ ხასიათსაც ატარებს. ომბოლოს ეკლესია საძირკვლამდეა დანგრეული (ვფიქრობ, ადრეული იქნება), მურმანეთის კი პირველ მეოთხედამდე, ასე თუ ისე, შენარჩუნებული კედლებით იდგა. მისი დანგრევა რუს სამხედროებს უკავშირდება. სასაზღვრო გზების კეთებისას განგებ დაუნგრევიათ. თვითმხილველების გადმოცემით, ამის ჩამდენნი, ერთი გარდაცვლილა, ერთიც - გაგიჟებულა.

- ხიხაძირში აღმოჩენილი ცულის შესახებაც გვითხარით?

- ხიხაძირში აღმოჩენილი გრავირებული ცული, შემთხვევითი მონაპოვარია. ცული მიეკუთვნება გასული საუკუნის 70-იან წლებში ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირში წყლის არხის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს განძს, რომელშიც წალდთან, სეგმენტურ იარაღთან და ბრინჯაოს ზოდებთან ერთად იყო სადა და გრავირებული ცულები. კოლხური კულტურისათვის დამახასიათებელია ბრინჯაოს ნაკეთობათა გრავირება. ხიხაძირის გრავირებული ცული ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებით თარიღდება. მასზე დატანილია მყეფარე ძაღლის, გველისა და მზის გამოსახულება, რაც ხაზს უსვამს ცულის საკულტო დანიშნულებას.

> ***„ ხიხაძირში აღმოჩენილი გრავირებული ცული, შემთხვევითი მონაპოვარია. ცული მიეკუთვნება გასული საუკუნის 70-იან წლებში ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხიხაძირში წყლის არხის გაყვანის დროს შემთხვევით აღმოჩენილ ბრინჯაოს განძს, რომელშიც წალდთან, სეგმენტურ იარაღთან და ბრინჯაოს ზოდებთან ერთად იყო სადა და გრავირებული ცულები***

- მუშაობთ მოსწავლეებთან და ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტებთან. ასეთი აქტივობა რა მიზანს ემსახურება?

- თანამედროვე მუზეუმების პრიორიტეტია საგანმანათლებლო მიმართულება, რასაც ბევრი ახსნა აქვს. პირველ რიგში, მუზეუმი არაფორმალური განათლების სამსახურში დგას. ჩვენ ბოლო წლებში აქტიურად ვმუშაობთ ამ მიმართულებით. სკოლამდელი ასაკის ბავშვებისათვისაც კი გვაქვს მათზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები. სსიპ „აჭარის მუზეუმის“ ყველა მუზეუმში და მათ შორის, ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმშიც, სკოლის მოსწავლეებისათვის განკუთვნილი უამრავი საგანმანათლებლო პროგრამაა, რომელიც მორგებულია ეროვნულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. ადრეული ასაკიდან ბავშვების მუზეუმით დაინტერესების მიზანი არის ის, რომ თავიდანვე შევაყვაროთ მათ აქ ვიზიტი, ვაჩვენოთ, რომ მუზეუმი ეს არის მრავალი მიმართულების ინტერესთა ჩამოყალიბებისა და გადაკვეთის, დასვენების, განტვირთვის, კულტურული, საგანმანათლებლო თუ ისტორიული შემეცნების, ასევე, ესთეტიკური სიამოვნების მიღების ადგილი. საქართველოში მუზეუმების დამთვალიერებელთა კვლევამ ცხადყო, რომ ვიზიტიორთა პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია. სწორედ ამასთან ბრძოლაა საგანმანათლებლო პროგრამების მთავარი მიზანი.

- ვისგან წამოვიდა იდეა, რომ საქმეში ჩემი ჩართულობა მოკრძალებული იყო.

- ქართულ-უკრაინული პროექტი „ბავშვებს უნდათ მშვიდობა“ წამოგეწყოთ?

- დღეს უკრაინაში მიმდინარე პროცესები, უსამართლო ომი, ყველას სატკივარია. მუზეუმის დირექცია, დირექტორი თეონა ზოიძე, თითოეული თანამშრომელი ვცდილობთ, თანადგომა გამოვუცხადოთ უკრაინელებს, განსაკუთრებით ბავშვებს. 2018 წელს შეიქმნა სსიპ „აჭარის სამუზეუმო გაერთიანება“. იმ დღიდან მოყოლებული დირექცია, ყველა საქმეში აქტიურადაა ჩართული.

- თქვენი ცხოვრების მნიშვნელოვან დღედ რომელს მიიჩნევთ?

- ყოველი დღე არის განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი, როცა შვილების წარმატებას, წინსვლას, მიღწევებს და სწორ ნაბიჯებს ვხედავ.

- ტკივილი, რომელიც არ გასვენებთ?

- ეს არის უახლოესი ადამიანების დაკარგვით გამოწვეული წუხილი, ჩამოთვლას არ შევუდგები. ყველა მაკლია და მათ გარეშე ყოფნა მოსვენებას არ მაძლევს...

- ცნობილი ექიმის მეუღლე იყავით...

- ჩემი მეუღლე ლევან გამყრელიძე, თავის პროფესიაზე შეყვარებული ექიმი - ქირურგი, ტრავმატოლოგი იყო. დიდი ფუფუნებაა ოჯახში ექიმის ყოფნა. ლევანი დაგვაკლდა ჩვენ, დაკლდა რეგიონს. მისი ერთგული და კმაყოფილი პაციენტები ახლაც გვაკითხავენ ხოლმე ოჯახში. ალბათ, ამის გამოძახილი იყო, რომ 80 წლის ღვაწლმოსილ ექიმს, ენდოკრინოლოგ გიული მალანიას, გამორჩეულად მოვეფერეთ. მას ნაყოფიერ შრომას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ.

- შვილებს რას ურჩევდით?

- მყავს სამი ვაჟიშვილი. უფროსი თენგიზ გამყრელიძე, 27 წლისა, დაამთავრა თბილისის ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი, მუშაობს სანაპირო დაცვაში. 24 წლის ალექსანდრე ბათუმის საზღვაო აკადემიის მეოთხე კურსის სტუდენტია გემის მექანიკის მიმართულებით, უკვე დაოჯახებას აპირებს, რაც ძალიან მახარებს. გიორგი თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია. სამწუხაროდ, მამის კვალს არცერთი არ გაჰყვა. პირველ რიგში, შვილებს ვურჩევ, იცხოვრონ ისე, როგორც ქართველ კაცს და მამის - ლევან გამყრელიძის ხსოვნას შეეფერება, ნურასდროს დაიზარებენ შრომას!

- დედის დღე პირველად ვინ მოგილოცათ?

- პირველებმა მომილოცეს შვილებმა, მოსწავლეებმა, კოლეგებმა, ახლობლებმა...

- მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდეთ...

- დიდი ოჯახის შვილობა ყველაზე დიდი ბედნიერებაა, ცხოვრების ერთი დიდი გაკვეთილია, რაც პირადად გამოვცადე. ოჯახში 3 ქალიშვილი და 4 ვაჟი ვიზრდებოდით. მეც 3 ვაჟის დედა რომ ვარ, ესეც მახარებს და ენერგიას მმატებს.

- მეგობარი, რომელსაც საიდუმლოს არ უმალავთ?

- მადლობა ღმერთს, რომ ამ მხრივ მდიდარი ვარ, მყავს ლხინსა და ჭირში გამობრძმედილი მეგობრები.

- არქეოლოგი, რომლის იდეებითაც მოდიხართ?

- არქეოლოგია ჩემ შემთხვევაში, უპირველესად, ბატონ ამირან კახიძესთან ასოცირდება. მიუხედავად მისი ტიტულებისა, მსგავსი თავმდაბალი პიროვნება, დიდი ბუნების ადამიანი, მუდმივად ორიენტირებული ახალგაზრდა თაობის წახალისებისკენ, ხელშეწყობისაკენ, ბევრი არ მეგულება დღეს. საკუთარი საქმის სიყვარული მან გვასწავლა, რისთვისაც მადლობელი ვარ.

განუყრელი მეგობარი

ავთანდილ დიასამიძესთან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებდა. უფრო მეტიც - განუყრელი მეგობრები ვიყავით.

უნიჭიერესი ადამიანი იყო. იშვიათად მინახავს მისებრ გულიანი, გულუხვი, ვაუკაცი.

ერთი ასეთი შემთხვევა მინდა გავიხსენო: გაზეთის რედაქტორი, ბატონი შოთა ქურიძე შვებულებაში რომ გავიდა, მისი მოვალეობის შესრულება ავთოს დაევალა. მივადექი ამ ჩემს ძმაკაცს ლექსებით - თუ დამიბეჭდავ-მეთქი. მაგას რა კითხვა უნდა, მომეცი ლექსებიო. მივეცი. დაიწყო კითხვა:

„ხვალ ცხრა საათიდან
ოცდაერთ საათამდე
ვიქნები სამსახურში
და ჩემი სული მეყოლება
დილეგში გამომწყვდეული.
მე უბედურმა ხორცისათვის
გავწირე სული...
ბრძენი პირიქით აკეთებს
ამას“ .

ავთომ ღიმილით გამომხედა და მეორე ლექსის კითხვა დაიწყო:

„ადამიანებს
არ უყვართ ერთმანეთი...
ამის თქმას მერჩივნა
დამბაჩა დაეხალათ ჩემთვის,
მაგრამ სინამდვილეს
ვუცქერ თვალებში
და სიცრუე არ მქონია
დღემდე ხელობად“ .

აქ ჩაიცინა და მესამე ლექსზე გადავიდა:

„სამასი წელი მკლავდნენ
მორკინალს,
სულს მიმღვრევდნენ და
მწარედ მოვკივი,
ბორკილად მადევს
ავტონომია,
დედათბილისო, ამხსენ
ბორკილი...“.

სხვა, იმ დროისთვის შეუფერებელი და მიუღებელი ლექსების ჩაკითხვის შემდეგ მეუბნება: - ბიჯო, გგონია, არ დაგიბეჭდავ? მე თუ მომხსნიან, შენც თან მომყვები და ვიაროთ მერე „ზაბეგალოვკებში“ და ყავახანებში ერთადო. აიღო წითელი კალამი და წააწერა ლექსებს - „დაიბეჭდოს შემდეგ ნომერში“.

იმ დროს პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის იდეოლოგიური განყოფილების გამგის პირველი მოადგილე გახლდით.

რა თქმა უნდა, მეორე დღესვე დაიბეჭდა ყველა ლექსი. დღემდე ჩემთვის გამოუცნობია, წაიკითხეს თუ არა „ზემდგომებმა“ გაზეთის ის ნომერი, და თუ წაიკითხეს, რატომ „გაატარეს“ უხმაუროდ?

ამ პატარა მოგონებაში კარგად ჩანს ავთოს მტკიცე ხასიათიცა და გამბედაობაც.

დავით თედორაძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე

ძველი ბათუმის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი

ახლახან გავიგე, ავთანდილ დიასამიძე გარდაცვლილა, კარგი ჟურნალისტი, უთბილესი კაცი და ღირსეული, უკომპრომისო მოქალაქე, ერთ-ერთი რჩეული, ვის გამოც მიყვარდა რედაქციაში მისვლა, საყავეში ჩამოჯდომა და ბაასი, კაცი, რომელსაც სიმართლე უდუღდა სისხლში, სიყვარული - გულში და არ შეეძლო სიყალბესა და ორპირობასთან შეგუება. მძიმე ავადმყოფობამ მრავალი წლით ჩამოაცილა აქტიურ ცხოვრებას, მაგრამ ვიდრე ცოცხალი იყო, მისი სახით ძველი ბათუმის ერთ-ერთი უკანასკნელი მოჰიკანი გვეიმედებოდა.

ნათელში განისვენე უფროსო მეგობარო, ნათელო ადამიანო!

ბადრი თევზაძე,
პოეტი

გაზეთ „აჭარის“ თვალისჩინი

ასჯერ დავიწყე და წავშალე. როგორ მინდა, ისე დავწერო, როგორც იმსახურებდა, ეკადრებოდა - ის ხომ გამორჩეული იყო, რაღაც სხვანაირად გამორჩეული, ღირსეული, უზადო პროფესიონალი, ახალგაზრდა ჟურნალისტების უდიდესი მეგობარი, გულშემატკივარი... როგორ გვიხაროდა, როცა ჩვენი წერილები მის ხელში ხვდებოდა. ვიცოდით, ცუდად არ ჩაერეოდა, გასასწორებელს გაასწორებდა, დაგარიგებდა, გასწავლიდა და თანაც ისე, რომ შეცდომას მეორედ აღარ დაუშვებდი. სათქმელსაც პირდაპირ გეტყოდა, ყოველთვის სიმართლის მხარეს იდგა და თუ ვინმე რომელიმე ჟურნალისტს აუგად მოიხსენიებდა, პირველიც თავად გასცემდა პასუხს, დაიცავდა....

წლები ვიმუშავეთ ერთად გაზეთ „აჭარაში“. ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე მძიმე წლები და ქარტეხილებიც ერთად გავიარეთ. ყველაზე „ცხელი“, საშიში და ურთულესი მოვლენების გაშუქების დროს, მახსოვს, როგორ ზრუნავდა ჩვენზე, მის გვერდში დგომას ყოველთვის ვგრძნობდი და ვიცოდი, რომ დამიცავდა... ის, ჩემთვის, მარტო იმედი კი არა, მეტრი იყო, პატრიოტიზმის, ადამიანობის, ღირსების, ჟურნალისტიკის მეტრი (ცოცხალი რომ ყოფილიყო, ჩამისწორებდა - საზომიო)... „აბა, შენ იცი, მანანა, შენი იმედი მაქვს“, - მეტყოდა ყველა რთული დავალების შესრულების დროს და მეც ვცდილობდი, მისთვის იმედი არ გამეცრუებინა.

ყოველდღე, წვეთ-წვეთად სწირავდა თვალისჩინს საყვარელ საქმეს, პროფესიას... ბოლოს ისე გაუჭირდა, მაგიდასთან თავჩაღუნულს თვალთან მიჰქონდა ფურცლები, რომ წერილები წაეკითხა და გაესწორებინა. ბევრჯერ ატკინეს გული, მაგრამ არ გატეხილა. არ გატეხილა მაშინაც კი, როცა რედაქციიდან წავიდა. ვეხვეწებოდით: ბატონო ავთო, თქვენი თვალები, თქვენი თვალისჩინი ჩვენ ვიქნებით, წაგიკითხავთ წერილებს, თქვენ მხოლოდ მოგვისმინეთ და ჩვენს გვერდით დარჩითო. „თქვენი ეს სიტყვები ჩემთვის ყველაზე დიდი საფასურია იმისა, რაც მიკეთებია“, - გვითხრა და წავიდა. მის ოთახში მას მერე აღარც შევსულვარ... იქ ბატონი ავთო აღარ მეგულებოდა და იმიტომ. თითქოს იმ ოთახს ვუცხადებდი პროტესტს მისი წასვლის გამო.

რამდენი მაქვს სათქმელი, ვინ მოთვლის. ამაყი ვიყავი, როცა ბათუმის საპატიო მოქალაქის წოდება მიანიჭეს - ის უდავოდ იმსახურებდა ამას, მაგრამ წოდებებისთვის არასოდეს არაფერი უკეთებია. იმაზე მეტად დაიხარჯა, ვიდრე ეს ერთ ადამიანს შეეძლო. მისგან ვისწავლე, რომ ყველაზე დიდი პატრიოტიზმი პროფესიონალიზმი და შენი საქმის გულწრფელად, თავდაუზოგავად კეთებაა... ყოველთვის უარს აცხადებდა გაზეთის რედაქტორობაზე, თუმცა ამ თანამდებობის გარეშეც, პირადად ჩემთვის, მისი სიტყვა და შეფასება ყველაზე ღირებული იყო. ის თვალისჩინდაკარგულიც იმაზე მეტს ხედავდა და გრძნობდა, ვიდრე ბევრი თვალხილული. ალბათ იმიტომ, რომ თავად იყო გაზეთ „აჭარის“ თვალისჩინი.

მეამაყება, რომ ჩემი უფროსი მეგობარი და კოლეგა იყო. უნდა იამაყოს მისმა შესანიშნავმა ოჯახმა - არაჩვეულებრივმა მეუღლემ, შვილებმა, ამ ულამაზესმა ქალაქმა, კუთხემ და ქვეყანამ, ვინაიდან ავთანდილ დიასამიძე ამას იმსახურებს მთელი თავისი მართალი ცხოვრებით, მოღვაწეობითა და ერთგულებით.

მანანა მიქელაძე,
ჟურნალისტი, აჭარის უმაღლესი საბჭოს მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი

კენტადღა დავრჩი...



წლების წინ, ნეკროლოგების წერა ლამის მოვალეობად რომ მექცა, მწარედ დავიფიცე - აწი ამის გამკეთებელი აღარ ვარ-მეთქი და ასეც ვიქცეოდი, მაგრამ... ავთანდილ დიასამიძე გარდაიცვალაო, გავიგე და... რა ფიცი, რის ფიცი, ხალხო...

სამი ავთო ვმუშაობდით რედაქციაში. ჯერ ავთო ლომაძე (ბათუმის სიმბოლოს - უკვდავი „ქოლგიანი დელფინის“ ავტორი) გამოგვეცალა ხელიდან, ახლა... ავთო დიასამიძე - გაზეთს ბოლომდე შეწირული დიდებული ჟურნალისტი, დიდებული რედაქტორი (თუმც ოფიციალურად არასდროს ეკავა ეს თანამდებობა) და კიდევ უფრო დიდებული პიროვნება, „საპატიო ბათუმელი“, რომელსაც, კალამთან ერთად, სიტყვაც არანაკლებ უჭრიდა. ამაში ყველა დამეთანხმება, ვისაც ავთოს (მაპატიეთ, ვისაც გეხამუშებათ, მაგრამ ასე მივმართავდით ყოველთვის ერთმანეთს) თამადობა ერთხელ მაინც უნახავს და მისი მჭევრმეტყველებით დამტკბარა!..

ვერ იტანდა, ვინმე საქმეს არასათანადო მონდომებით, უპასუხისმგებლოდ თუ მოეკიდებოდა - ფინთიხივით იფეთქებდა, სათქმელს პირში მიახლიდა (ზოგჯერ - საკმაოდ მკვახედაც), მაგრამ არავის სწყინდა და არც შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს, რადგან, ჯერ ერთი, დაუმსახურებელ, უსამართლო ერთ მწარე სიტყვასაც არ გაკადრებდა, და მეორე - საერთოდ არ იყო გულგამყოლი: ამ წუთს „გალანძღულ-გათათხულს“ ათი წუთის შემდეგ მხარზე ხელს გადახვევდა და, მისებურ-ჩვეულებრივად, ისე თბილად დაელაპარაკებოდა, თითქოს ის არ იყო, ცოტა ხნის წინ მჭექარე ხმით რედაქციის კედლებს რომ აზანზარებდა! ამიტომ უყვარდა, უჟვარს და მომავალშიც ეყვარება ყველას, ვინც მასთან მუშაობდა კი არა, უბრალოდ, თუნდაც იცნობდა...

სამნი ვიყავით, კენტადღა დავრჩი. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს ხელახლა დავობლდი!..

უფალმა გაანათლოს შენი ლამაზი სული, ჩემო ავთო, ჭეშმარიტად სპეტაკო, ღირსეულო, სამაგალითო ადამიანო!

ღმერთმა გაძლება მისცეს შენს საყვარელ ოჯახსა და ყველას, ვისაც დააკლდი!

უდიდესი სიყვარულითა
და გულისტკივილით,
ავთო ვადაჭკორია

„სტეკლიაშკა“ - ნაღდი ბათუმელების თავშეყრის ადგილი

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

„ბათუმელობა“ გამორჩეული წოდებაა და თუ მას სიტყვა „საპატიო“ ემატება, ესე იგი, ის ადამიანი ხარ, ვის სიყვარულსაც ქალაქი გულით დაატარებს...

ალბათ არავინ მიწყენს, თუ ვიტყვი, რომ ბათუმს წლების წინ უფრო მეტი ნაღდი თანაქალაქელი ამშვენებდა. მათთან ყოველი შეხვედრა დიდი ბედნიერება იყო. ისინი ჩვენს გაზეთსაც ხშირად სტუმრობდნენ, რადგან „აჭარის“ შენობა ქალაქის ყველაზე ლამაზ, ხალხმრავალ ადგილზე იდგა და ამ შენობაში მუდამ უნიჭიერესი და უთბილესი ხალხი მუშაობდა. „ სტეკლიაშკა“ იმიტომ ვახსენე, რომ ბოლო წლებში ქალაქის ნაღები საზოგადოება ჩვენი გაზეთის ყოფილი შენობის წინ რომ კაფეა, იქ იკრიბებოდა. ეს შეკრებები კი თავდაპირველად, გაზეთ „აჭარის“ რედაქტორ ალი სამსონიას დროს რესტორან „აჭარაში“ ხდებოდა. არ იყო ეს თავყრილობა მხოლოდ ღვინის სმისა და თრობისთვის. ამ მართლაც სახალხო აკადემიაში საინტერესო დისკუსიები იმართებოდა - მისი ყოველი წევრი ქვეყნის მთავარ მოვლენებში კარგად იყო გათვითცნობიერებული. აქ იყო დიდი კამათიც და დიდი მოფერებაც. მერე გაიყიდა და დაიხურა რესტორანი და ბათუმელებმაც სხვაგან გადაინაცვლეს. აჭარის“ რედაქციის წინ მდებარე კაფეს „სტეკლიაშკა“ შეარქვეს და ახლა აქ უზიარებდნენ ერთმანეთს მსოფლიოს, ქვეყნის, ქალაქისა თუ საკუთარი ოჯახის ამბებს. აქ უცვლელი თამადები გახლდათ ალი სამსონია, ნუგზარ ჯაფარიძე, ლევან ღლონტი... ზედმეტსახელებსაც იხდენდნენ სახალხო აკადემიის წევრები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები...

დღეს ავთო დიასამიძეს აცილებს საზოგადოება უკანასკნელ გზაზე, ბატონი ავთო ხშირად დადიოდა ამ კაფეში. ბოლოს, როცა თვალებმა უმტყუნა, გვერდით კიდევ ერთი გულიანი ბათუმელი ამოუდგა - ქალაქის ერთ-ერთი საბინაო სამმართველოს წარმომადგენელი ჯემალ შავაძე, მეტსახელად „პატარა ჟეკი“. ის გახდა ავთოს თვალები, თითქმის ყოველდღიურად აკითხავდა სახლში (ამინდის შესაბამისად) და ძვირფასი მეგობარი „სტეკლიაშკაში“ მოჰყავდა. მეც არასდეს ისე არ ჩავუვლიდი ამ კაფეს, შიგ რომ არ შემეჭვრიტა. ეს სურათიც ერთ ასეთ დღეს გადავიღეთ, როცა, როგორც ყოველთვის, ჩვენი ლევან ღლონტი - „პეჩორინა“ თამადობდა. ბიჭებმა არაჩვეულებრივი დღე მაჩუქეს... მერე ჯემალი ავად გახდა, წავიდა ამ ქვეყნიდან... ავთო ნელნელა ჩამოსცილდა აქტიურ ცხოვრებას. სახლში უსმენდა ტელევიზიას, მერე რადიოს.... დროდადრო შეუკურთხებდა იმათ, ვინც არაქართულად გადმოსცემდა ამბებს, ის ხომ ბრწყინვალე მექართულე გახლდათ. ერთხელ მითხრა, ეს იმის შედეგია, ყველა ხის ძირას უნივერსიტეტი რომ გახსნესო... ხშირად ვცდილობდი, ტელეფონით მაინც შევხმიანებოდი და როცა ვერ ვუკავშირდებოდი, მის შესანიშნავ მეუღლეს - თინიკოს ვურეკავდი...

ამ სურათზე გადაღებული ბევრი ადამიანი აღარაა ჩვენს შორის. დღეს ჩვენმა ავთომაც გადაინაცვლა ზეციურ სავანეში.

ძალიან დაგვწყვიტა გული მისი ამ ქვეყნიდან გასვლამ. დამაკლდება მასთან გულიანი საუბარი, ხშირად მომენატრება... მისგან დიდ სიყვარულსა და სითბოს ყოველთვის ვგრძნობდი. მან დამიცვა, როცა წინა ხელისუფლებამ ბევრი გაათავისუფლა სამსახურიდან და მათ შორის ჩემი გაშვებაც უნდოდა... მაშინ სამსახურში დარჩენას, სწორედ მას უნდა ვუმადლოდე. უფალმა დაუმკვიდროს ნათელი გულიან მეგობარსა და დიდ კოლეგას.

„...ქართული ჭიდაობის პოპულარიზაცია და განვითარება ჩვენთვის „აქილევსის ქუსლი“ და მთავარი სტრატეგიული გამოწვევაა“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ერთი კვირის განმავლობაში აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი ***ჯემალ წულუკიძე*** *დელეგაციასთან ერთად, ირანის ისლამურ რესპუბლიკაში იმყოფებოდა, იქაური სპორტის ხელმძღვანელების მიწვევით და მონაწილეობდნენ „ქაბადდის“ საერთაშორისო ტურნირზე. ირანიდან დაბრუნებისთანავე ბატონ ჯემალს გავესაუბრეთ*

- ბატონო ჯემალ, ირანელი და ქართველი მოჭიდავეების ურთიერთობები საიდან იღებს სათავეს?

- ამ ურთიერთობებს საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, თუმცა, პროფესიული და სპორტული დატვირთვა გასული საუკუნის 60-70 - იან წლებში მიეცა. მკითხველისათვის ორ მაგალითს მოვიყვან. პირველი - ქართველი სახელოვანი და საამაყო ფალავნის, ტოკიოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონის, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონისა და ორგზის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონის, ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორის, „საპატიო ნიშნის“, ფილას, ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერის, ჩვენი უფროსი მეგობრის, ბატონ გურამ საღარაძისა და ცნობილი სპარსი ფალავნის, მელბურნის ოლიმპიუ-

ვეს იჯდა მისი საყვარელი, დაუმარცხებელი ფალავანი, რომელთანაც შერკინება ლევან თედიაშვილს ერგო წილად. მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა ფალავანმა სავსებით დამაჯერებლად გაიმარჯვა, მსაჯმა მეტოქეებს კვლავ უხმო ხალიჩაზე. რა თქმა უნდა, ირანელ ფალავანს განმეორებით დამარცხებას სიკვდილი ერჩია და თავგანწირვით იბრძოდა კიდეც, მაგრამ ძლიერი ქართვე-

> ***„მსოფლიო ფედერაციის და დელეგაციების მენეჯერებთან შეხვედრაზე, რომელიც, მსოფლიო ჩემპიონატზე ჩვენი ბიჭების ასპარეზობის შემდეგ, გვიან საღამოს გაიმართა, ხაზგასმით აღვნიშნე, რომ საქართველოს, როგორც ჩემპიონატის დებიუტანტი ქვეყნის გამოსვლა მაშინ, როდესაც ჩვენს სპორტსმენებს მხოლოდ ორი დღე, 2-საათიანი სასწავლო ვარჯიში ჰქონდათ გავლილი, საქებარი და დასაფასებელია-მეთქი, რაზეც, დამსწრე საზოგადოება, ერთსულოვნად დამეთანხმა...***

რი თამაშების გამარჯვებულისა და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონის, „მაზანდარანელ ვეფხვად“ წოდებულ იმამ ალი ჰაბიბის შერკინებას თბილისის ცირკში, 1962 წელს. სრულიად ახალგაზრდა გურამ საღარაძე პირისპირ აღმოჩნდა სწორუპოვარ ფალავანთან, რომელმაც ქართველ „ჭიდაობის პროფესორ“ ვახტანგ ბალავაძეს 1959 წელს წაართვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული, ტრიუმფით მოიარა მოსკოვი და მინსკი, ერთი ამოსუნთქვით დაუმარცხებია საბჭოთა კავშირის არაერთგზის ჩემპიონები - ალიმბეკ ბესთაევი, მიხაილ ბეკმურზოვი, გარსევან ნებიერიძე, მინსკელი ვალერი გორბატენკო. იმამ ალი ჰაბიბი ბატონი გურამისთვისაც ისეთივე ლეგენდა გახლდათ, როგორიც მილიონობით გულშემატკივრისთვის, რომლის წინააღმდეგ ვახტანგ ბალავაძეს უნდა ეჭიდავა, მაგრამ ის შეუძლოდ იყო და საკავშირო ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ეს მისია გურამ საღარაძეს დააკისრა. თან, როგორც ბატონი გურამისგან ვიცით, შეუგულიანებია: თუ სძლევ ირანელს, მომავალი წლიდან მსოფლიო ჩემპიონატებისკენ გზა ხსნილი გექნებაო... ბევრი რომ არ გავაგრძელო, ეს ასპარეზობა ბატონი გურამის გამარჯვებით დამთავრდა...

და მეორე მაგალითი: 1971 წელს თეირანში გაიმართა ჭიდაობის საერთაშორისო ტურნირი „არიამეჰრის“ ანუ შაჰინშაჰის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად. ამ ტურნირზე მსოფლიოს მრავალ ცნობილ ფალავანს შორის გამოდიოდა 23 წლის ქართველი მოჭიდავე ლევან თედიაშვილიც, მომავალში ლეგენდარული მოჭიდავე, ორგზის ოლიმპიური და ხუთგზის მსოფლიოს, ოლიმპიური ჩემპიონი, ვახტანგ გორგასლის, ღირსების, სეოკის და სხვა მრავალი ორდენის კავალერი, ჩვენი უფროსი მეგობარი, რომელმაც „არიამეჰრის“ პრიზი ღირსეულად დაიმსახურა. ასპარეზობა ღია ცის ქვეშ გაიმართა, ხალხით გაჭედილ ვეებერთელა სტადიონზე. ფალავანთა ჭიდილს ესწრებოდა შაჰინშაჰიც. ირანის მონარქის სიახლოლის წინააღმდეგ ვერაფერი იღონა. შაჰინშაჰი ისე მოიხიბლა ქართველი ფალავნის ოსტატობით, რომ გამარჯვებული თავისთან იხმო და ძვირფასი ბეჭდით დაასაჩუქრა. იგი ბატონმა ლევანმა თავის მომავალ მეუღლეს უსახსოვრა. ქართველი და ირანელი მოჭიდავეების ურთიერთობები დღესაც გრძელდება. ჩვენი მოჭიდავეები მრავალჯერ ყოფილან ირანში, ირანული ქამრიანი თუ ჩოხიანი ჭიდაობების საერთაშორისო ტურნირებზე, ისინიც ჩამოდიან ჩვენთან, სხვადასხვა ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში. მაგალითისთვის გეტყვით, რომ აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მოწვევით, ირანელ ფალავნებს ბევრჯერ უასპარეზიათ ბათუმში გამართულ ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირებზე ქართულ ჭიდაობაში. ბოლოს, 2022 წელს იყვნენ ცაგერში, ჩვენი მეგობრისა და დამსახურებული პიროვნების კობა ქომეთიანის სახელობის ტურნირზე ქართულ ჭიდაობაში. საქართველოს ქართული ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელები აქტიურად და ნაყოფიერად მუშაობენ ირანელ კოლეგებთან. სხვაგვარად, ვერც და არც იქნება. პოზიტიური შედეგიც სახეზეა.

- თუ გაიხსენებთ ბათუმში ჩატარებულ პირველ ასპარეზობას, სადაც ქართველი და ირანელი მოჭიდავეები ქართული ჩოხებით ერთმანეთს დაუპირისპირდნენ?

- დიდი სიამოვნებით. ეს იყო 2015 წელს, ბათუმის ცირკში, ვასილ გაროზაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილ პირველ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც სხვა ქვეყნების ფალავნების გვერდით, ირანელებიც ასპარეზობდნენ ჩვენი მეგობრისა და კოლეგის, წარსულში ცნობილი ფალავნის და ამჟამად, სპორტის დიდი ორგანიზატორის საედინ ჰადი არაბის ხელმძღვანელობით. დღესაც მახსოვს, მათ მიერ კარგად მორგებული ქართული ჩოხა, შედეგიანი ასპარეზობა, ბათუმში მცხოვრები მათი თანამემამულეებისა და ირანის გენერალური საკონსულოს თანამშრომელთა მხურვალე გულშემატკივრობა.

- რამდენად იციან ირანელებმა ქართული ჭიდაობის ფასი?

- ბოლო წლებში ირანელი მოჭიდავეების ასპარეზობამ ქართულ ტურნირებზე, ცხადყო, რომ მათ საკმაოდ კარგად იციან ქართული ჭიდაობის ფასიც, არსიც და მნიშვნელობაც.

- „ქაბადდი“ საკმაოდ პოპულარული ასპარეზობაა ირანში. რა ფაქტორებმა განაპირობა აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის მიწვევა?

- დაგეთანხმებით, რომ სპორტის სახეობა „ქაბადდი“, რომელიც

იონიანი ქალაქი თავრიზი?

- თავრიზი, რომელიც მდებარეობს ჩრდილო-დასავლეთ ირანში და არის აღმოსავლეთ ირანის ოსტანის ადმინისტრაციული ცენტრი, ულამაზესი ქალაქია. წელს მეოთხედ ვიყავი აქ. ქალაქი თავისი ისტორიით, ყოფით, არქიტექტურით, მოსახლეობის კულტურული და ეკონომიკური განვითარების დონით, ერთ-ერთი გამორჩეული მეგაპოლისია ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. ბედნიერი ვარ, რომ აქ მყავს საუკეთესო მეგობრები და კოლეგები, ვისთანაც მეგობრობის და თანამშრომლობის მრავალწლიანი ურთიერთობები მაკავშირებს.

- წელს რამდენიმე პირველობა და ტურნირი გაქვთ დაგეგმილი. ირანელი მოჭიდავეების მოწვევა რამდენადაა შესაძლებელი?

- აჭარის ქართული ჭიდაობის ფედერაციის 2023 წლის სპორტული ღონისძიებების კალენდარული გეგმით, წელს ირანელ მოჭიდავეებს მხოლოდ ერთ საერთაშორისო ტურნირზე მოვიწვევთ. აქვე გეტყვით, რომ ივნისის დასაწყისში, ურთიერთშეთანხმებიდან გამომდინარე, ირანელი ინსტრუქტორები გვეწვევიან, ქაბადდიში მასტერკლასების ჩასატარებლად.

- რამდენად პოპულარული ხდება ქართული ჭიდაობა აჭარის სოფლებში?

- აჭარის მთისა და ბარის სოფლებში, ქართული ჭიდაობის პოპულარიზაცია და განვითარება ჩვენთვის „აქილევსის ქუსლი“ და მთავარი სტრატეგიული გამოწვევაა. ვიბრძოდით, ვიბრძვით და ბრძოლის შეჩერებას არც მომავალში ვაპირებთ, რათა ჩვენი დედა-ჭიდაობა უფრო მყარად, ამაყად, დაფასებულად და ქართველი კაცის შესაფერისად იყოს ფეხმოკიდებული ჩვენს უსაყვარლეს კუთხეში.

- ქართული ჭიდაობის ახალი სექციების გახსნასთან დაკავშირებით რა მოლოდინი გაქვთ?

- ქართული ჭიდაობის ახალი ჯგუფების და დარბაზების გახსნის მოლოდინი ყოველთვის გვაქვს და გვექნება, მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ფინანსური და ინფრასტრუქტურული პრობლემები არსებობს. ამ მიმართულებით მუხლჩაუხრელად ვთანამშრომლობთ როგორც ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელობასთან, ისე აჭარის სპორტის დეპარტამენტთან, მუნიციპალიტეტების მერიების შესაბამის სამსახურებთან და სასპორტო სკოლებთან.

- რამდენად პერსპექტიული ჭაბუკები მოდიან?

- საკმაოდ ნიჭიერი, პერსპექტიული და შრომისმოყვარე თაობა მოდის. მას სჭირდება ძალიან დიდი მხარდაჭერა, თანადგომა, წახალისება როგორც სახელმწიფოს და ფედერაციის, ისე, სპორტული საზოგადოების მხრიდან. ამ მიმართულებით მუშაობა ჩვენთვის პრიორიტეტული იყო და ასე იქნება მომავალშიც.

- მაჭახლის ხეობა ყურადღების მიღმაა. იქ რა აქტივობებს გეგმავთ?

- სწორი შენიშვნაა. წელს მაჭახლის ხეობასაც მისწვდება ქართული საჭიდაო ზურნის ხმა. საამისოდ, ხელვაჩაურის კომპლექსური სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობასთან ერთად, ღონისძიებათა პაკეტი გვაქვს შემუშავებული, რომლის პრაქტიკული შედეგი, ვიმედოვნებ, წელსვე გვექნება სახეზე.

კვლავ საუკეთესოთა შორის...

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, 100%-იანი მაჩვენებლით, აჭარის უმაღლესი საბჭო ამჯერადაც საუკეთესოთა შორისაა. ამის შესახებ ინფორმაციას თავად უმაღლესი საბჭო ავრცელებს. მისი ცნობით, საქართველოს მასშტაბით, ყველაზე ანგარიშვალდებული საჯარო დაწესებულებების გამოსავლენად დადგენილი კრიტერიუმები უმაღლესმა საბჭომ სრულად დააკმაყოფილა. კვლევის შედეგები საჯარო ინფორმაციის რაოდენობით, სრულყოფილი და ვადების დაცვით გაცემული პასუხებით განისაზღვრა. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგი შარშან, საქართველოს მასშტაბით, 374 საჯარო დაწესებულებაში განახორციელა და 11 საუკეთესო გამოავლინა. 2022 წლის კვლევის შედეგები IDFI-მ გუშინ გამოაქვეყნა.

ამირან გურიელიძე

უკრაინა

ევროკომისიის პრეზიდენტი ურსულა ფონ დერ ლაიენი რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებულ კადევ ერთ სარაკეტო თავდასხმას ეხმაურება და აცხადებს, რომ ეს ომის დანაშაულია. „ვოლოდიმირ ზელენსკის უკრაინის წინააღმდეგ განხორციელებული სარაკეტო თავდასხმების შემდეგ ვესაუბრე. რუსეთის მიზანმიმართული დარტყმები მშვიდობიანი მოსახლეობისა და ენერგოქსელის წინააღმდეგ ომის დანაშაულია. ეს აძლიერებს ჩვენს საერთო გადაწყვეტილებას, გავაგრძელოთ პროგრესის მიღწევა უკრაინის რეფორმების განხორციელების მცდელობაში ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე“, - წერს ურსულა ფონ დერ ლაიენი „ტვიტერზე“. 9 მარტის ღამეს რუსეთმა უკრაინაში სხვადასხვა ტიპის 81 რაკეტა გაუშვა. ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, სარაკეტო დარტყმის შედეგად 6 უკრაინელი დაიღუპა. პრეზიდენტმა ზელენსკიმ ურსულა ფონ დერ ლაიენთან საუბრის შემდეგ განაცხადა, რომ ევროკომისიის ხელმძღვანელი დადებითად აფასებს უკრაინის პროგრესს ანტიკორუფციული მიმართულებით.

* * *

უკრაინის თავდაცვის ძალებმა ხუთი მიმართულებით მოწინააღმდეგის 102 შეტევა მოიგერიეს, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშია აღნიშნული. უწყების ცნობით, „მტერი ქალაქ ბახმუტის ალყაში მოქცევის მცდელობებს არ წყვეტს“. „ძირითადი ძალისხმევა კონცენტრირებულია შეტევითი ოპერაციების ჩატარებაზე კუპიანსკის, ლიმანის, ბახმუტის, ავდიივკასა და შახტიორსკის მიმართულებებზე. გასული დღის განმავლობაში ჩვენმა ჯარისკაცებმა დამპყრობლების მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებული 102 თავდასხმა მოიგერიეს“, - აცხადებენ გენშტაბში. რუსეთის ფედერაციამ მორიგი მასიური სარაკეტო შეტევა განახორციელა უკრაინის კრიტიკულ ინფრასტრუქტურასა და მშვიდობიანი მოსახლეობის სახლებზე. „რუსი აგრესორი არ თმობს უკრაინის ოკუპაციის განზრახვას და აგრძელებს ტერორისტული ტაქტიკის გამოყენებას, რითაც უხეშად არღვევს საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ნორმებს“, - აცხადებენ უკრაინის გენშტაბში.

* * *

უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ 356 ბავშვი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება, - ინფორმაციას უკრაინული მედია ომბუდსმენის ოფისზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ინფორმაციით, რუსებმა 16 224 ბავშვის იძულებითი დეპორტაცია განახორციელეს. უკრაინის ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, რომ ამ დრომდე ნაპოვნია რუსული ძალების შეჭრის დაწყების შემდეგ დაკარგული 10 230 ბავშვი.

* * *

შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ ვალერი ზალუჟნის ვუთხარი, რომ გამონახოს შესაბამისი ძალები ბახმუტში ბიჭების დასახმარებლად, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ განაცხადა. მისი თქმით, შტაბის სხდომაზე უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ ვალერი ზალუჟნისთან და აღმოსავლეთ ჯგუფის მეთაურთან, გენერალ ალექსანდრე სირსკისთან ბახმუტის საკითხი განიხილა და პირდაპირ ჰკითხა, თუ როგორ ხედავენ თავდაცვის ოპერაციის გაგრძელებას ბახმუტის მიმართულებით - ჯარების გაყვანით თუ თავდაცვის გაგრძელებითა და ქალაქში გამაგრებით. „მათ მიპასუხეს, რომ გავაძლიეროთ თავდაცვა და ჯარები არ გამოვიყვანოთ. სარდლობამ ამ პოზიციას ერთხმად დაუჭირა მხარი. სხვა პოზიცია არ ყოფილა. მთავარსარდალს ვუთხარი, რომ გამონახოს შესაბამისი ძალები ბახმუტში მყოფი ბიჭების დასახმარებლად“, - აღნიშნა ზელენსკიმ. მისი თქმით, არ არსებობს უკრაინის ნაწილი, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ მისი მიტოვება შეიძლება. „მადლობას ვუხდი თითოეულ ჯარისკაცს, რომელიც იბრძვის ამ ურთულესი მიმართულებით, ვინც იბრძვის ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხისთვის, ყველა მიმართულებით, - აღნიშნა ზელენსკიმ.

* * *

რუსეთი საკუთარ მოქალაქეებს მოუწოდებს, საქართველოში ჩასვლისგან თავი შეიკავონ, - განცხადებას ამის შესახებ რუსეთის ფედერაციის ეკონომიკური განვითარების სამინისტრო ავრცელებს. „თუკი თქვენ უკვე იმყოფებით აღნიშნულ ქვეყანაში, მოერიდეთ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს, კერძოდ, თბილისისა და ბათუმის ისტორიულ ცენტრებს. დახმარების აუცილებლობის შემთხვევაში ტურისტებისთვის ასოციაცია „ტურდახმარების“ ტელეფონი მუშაობს. ტურისტებს, რომლებიც ინდივიდუალურად მოგზაურობენ, შეუძლიათ მიმართონ საქართველოში შვეიცარიის საელჩოში რუსეთის ინტერესების სექციას. შვეიცარიის საელჩო საქართველოში რუსეთის ფედერაციის ინტერესებს წარმოადგენს, - ნათქვამია განცხადებაში.

* * *

უკრაინის პრეზიდენტი ვოლოდიმირ ზელენსკი მადლობას უხდის ყველა იმ ადამიანს, ვისაც საქართველოს ქუჩებში უკრაინის დროშები ეჭირა. უკრაინის პრეზიდენტი მადლობას იხდის თბილისში უკრაინის ჰიმნის გაჟღერებისთვისაც. „არ არსებობს უკრაინელი, რომელიც ჩვენს მეგობრულ საქართველოს წარმატებას არ უსურვებს. დემოკრატიულ წარმატებას. ევროპულ წარმატებას. ჩვენ გვინდა ვიყოთ ევროკავშირში - და ვიქნებით. ჩვენ გვინდა, რომ საქართველო იყოს ევროკავშირში და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ჩვენ გვინდა, რომ მოლდოვა იყოს ევროკავშირში და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება. ამას იმსახურებს ევროპის ყველა თავისუფალი ერი. დიდება ყველას, ვინც ახლა ბრძოლაშია უკრაინისთვის! დიდება ყველას, ვინც იბრძვის თავისი ძმებისთვის! დიდება უკრაინას!“ - აცხადებს ზელენსკი. ბოლო რამდენიმე დღეა, თბილისში იმართება აქციები იმ კანონპროექტების გასაპროტესტებლად, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობის ნაწილის - „ხალხის ძალის“ მიერ იყო ინიცირებული. ამ დოკუმენტების დამტკიცების შემთხვევაში, საქართველოს საერთაშორისო პარტნიორებისგან დაფინანსებულ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და მედიასაშუალებებს „უცხოური გავლენის აგენტებად“ დარეგისტრირება მოუწევდათ.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

უარი – საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობაზე

მე-2 გვერდიდან

აღნიშნული კანონპროექტის მიმართ გამოითქვა მკაცრი კრიტიკა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების მიერ. ევროკავშირის, ევროკავშირის წევრი ქვეყნების ელჩების, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის და საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ეს კანონი შეფასდა, როგორც შეუთავსებელი ევროპულ ფასეულობებთან და პრინციპებთან. მიუხედავად იმისა, რომ კანონი საფრთხეს უქმნიდა სამოქალაქო სექტორს და რაც მთავარია, ცხადად ეწინააღმდეგებოდა საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, საპარლამენტო უმრავლესობამ რუსულ კანონს პირველი მოსმენით მაინც დაუჭირა მხარი. მართალია, კანონპროექტის წინააღმდეგ მიმართული რამდენიმედღიანი სახალხო პროტესტის საპასუხოდ, მმართველმა პარტიამ კანონპროექტი უკან გაიწვია, მაგრამ მათ ნათლად დაადასტურეს რომ ისინი რჩებიან რუსული კანონპროექტის პრინციპების ერთგულნი და, სამომავლოდ უფრო აქტიურად გააგრძელებენ საზოგადოებრივი საინფორმაციო კამპანიას კანონპროექტის მხარდასაჭერად.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფში შემავალი ორგანიზაციები ვეღარ ვხედავთ საპარლამენტო უმრავლესობასთან ამ ფორმატში თანამშრომლობის პერსპექტივას და ვაჩერებთ წევრობას საკონსულტაციო ჯგუფში.

საკონსულტაციო ჯგუფის წევრი ორგანიზაციები:

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) - საკონსულტაციო ჯგუფის თავმჯდომარე;

საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო;

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI);

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (საია)“, - ნათქვამია განცხადებაში.

ამირან გურიელიძე

განცხადებები

დანართი-1 04/03/2023

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდი დაფუძნდა 2016 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 445487312), მისამართი ქ. ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქ. №49/2. ფონდი მოქმედებს ნებაყოფლობის, წევრთა თანასწორუფლებიანობის, დემოკრატიულობისა და კანონიერების საფუძველზე. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია ნოდარ პაქსაძე.

2022 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 49822.96 ლ.

1. უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს.
2. ორგანიზაცია შემოსავლებს დებულობს შემოწირულობის სახით.

ორგანიზაციის ხარჯვები განხორციელდა შემდეგნაირად:

1. ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი ---------- 3856.67 ლ.
2. სხვა გამოქვითვები ---------- 44531.40 ლ.

მათ შორის:

1. შესყიდული მიწის ნაკვეთის საფასური ---------- 44271.00 ლ.
2. ბანკის მომსახურება ---------- 37.90 ლ.
3. სმს მომსახურება ---------- 12.50 ლ.
4. 2021 წ. ანგარიში, გაზეთი „აჭარა“ ---------- 100.00 ლ.
5. ინტერნეტბანკინგი ---------- 60.00 ლ.
6. მიწის გადასახადი ---------- 50.00 ლ.
3. ნაშთი წლის ბოლოს ---------- 1434,89 ლ.

ნოდარ პაქსაძე,
ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე

დანართი-1 05/03/2023

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაცია დაფუძნდა 2001 წელს ქ. ბათუმში (ს/კ 248386571). მისამართი ქ. ბათუმი, ხახულის 1 შესახვევი 1. ასოციაცია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას. ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირია პრეზიდენტი ზურაბ მიქელაძე.

2022 წელს ორგანიზაციის ბრუნვის მოცულობამ შეადგინა 540399.40 ლარი

1. ორგანიზაცია შემოსავლებს ღებულობს შემოწირულობის სახით;
2. ორგანიზაციაში დასაქმებულია 8 თანამშრომელი;
3. საქველმოქმედო საქმიანობა განხორციელდა შემდეგ სფეროებში: სამოყვარულო სპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, სოციალური, განათლებისა და ჰუმანიტრულ სფეროში;
4. უცხოელი დამფუძნებლები და თანამშრომლები ორგანიზაციას არ ჰყავს.

ორგანიზაციის ხარჯვები განხორციელდა შემდეგნაირად:

1. პანსიონების სტუდენტთა კვებისათვის: ---------- 37399.41 ლ.
2. ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი ---------- 18469.31 ლ.
3. გაცემული ხელფასი ---------- 103331.20 ლ.
4. სხვა გამოქვითვები ---------- 381173.20 ლ.

მათ შორის:

1. საკანცელარიო ხარჯები ---------- 4001.14 ლ.
2. სატელეფონო და ინტერნეტხარჯები ----------720.00 ლ.
3. სამშენებლო მასალები ---------- 6528.38 ლ.
4. ერთჯერადი დახმარება სურსათით 1030 მოქალაქეზე ---------- 53429.21 ლ.
5. მოსახლეობაში დანაწილებული ხორცი ---------- 55250.00 ლ.
6. ერთჯერადი ფულადი დახმარება მოქალაქეებზე ---------- 1750.00 ლ.
7. ორგან. და თანამშრომელთა საპენსიო ანარიცხები ---------- 5272.00 ლ.
8. სანდასუფთავება ---------- 63.96 ლ.
9. ბანკის მომსახურება ---------- 1066.07 ლ.
10. ჟურნალისა და კალენდრების ბეჭდვა ---------- 9195.00 ლ.
11. ჩარიცხული საშემოსავლო გადასახადი ---------- 25832.80. ლ.
12. ბავშვთა დახმარება ტანსაცმლით ---------- 4020.40 ლ.
13. ძირითადი საშუალებების შეძენა ---------- 36985.00 ლ.
14. დახმარება, საგანმანათებლო ორგანიზაცია „განთიადი“ ---------- 74600.00 ლ.
15. დახმარება ქალთა საერთაშორისო ასოციაცია მომავლისათვის -------- 84600.00 ლ.
16. საწვავი ორგანიზაციის საჭიროებისათვის ---------- 4900.00 ლ.
17. ჰიგიენური საშუალებები ---------- 2960.20 ლ.
18. სამლოცველოების სარესტავრაციო ხარჯები ---------- 5120.00 ლ.
19. სხვა სამეურნეო ხარჯები ---------- 4879.00 ლ.

5. ნაშთი წლის ბოლოს ---------- 26.28 ლ.

ზურაბ მიქელაძე,
საქართველოს ახალგაზრდებზე დახმარების ასოციაციის პრეზიდენტი,
დახმარების ასოციაციის პრეზიდენტი

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «ბაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000,
ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ᵇ
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა
გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში

დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/03/23, 21 ⁵⁵ სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

მუსიკა ეხმარება ყველა სირთულის გადალახვაში

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

ბათუმელ ახალგაზრდა მუსიკოს ნათია ჭიჭინაძეს საზოგადოება სასცენო ფსევდონიმით Creams იცნობს. ის ერთ-ერთი პირველი არტისტია საქართველოდან, რომელიც ამერიკულ ხმის ჩამწერ სტუდიასთან თანამშრომლობს და მასთან შვიდწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მისი ერთ-ერთი კომპოზიცია კი ნეტფლიქსის პოპულარულ სერიალ „ლუციფერში" გამოიყენეს. ნათიას საკმაოდ მკვეთრი და გამორჩეული იმიჯი აქვს, მისი მუსიკალური კლიპები მაღალი რეიტინგით და უცხო ვიზუალით გამოირჩევა, რის გამოც ახალგაზრდებში ძალიან პოპულარულია. ნჭიერი მუსიკოსი ამჟამად ბერლინში ცხოვრობს და მუსიკის წარმოებას სწავლობს. იგი საკუთარ შემოქმედებასა და წარმატებებზე გვესაუბრება

- 14 წლის ვიყავი, პირველად რომ დავწერე მუსიკა. შვიდსიმიანი გიტარა ვიპოვე სარდაფში, რომელიც ჩემს ბებიას ეკუთვნოდა და უკრავდა კიდეც ახალგაზრდობაში. მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკა არ ვიცოდი და წარმოდგენაც არ მქონდა, როგორ მუშაობდა ეს ინსტრუმენტი, იდეა მომივიდა და სმენით ავაწყვე მელოდია, შემდეგ ტექსტიც დავწერე. იმდენად გამაბედნიერა ამ პროცესმა, რომ შემიძლია ვთქვა, იმ დღეს ვიპოვე საკუთარი თავი და მივხვდი, რისი კეთებაც მინდოდა ცხოვრების ბოლომდე. ჩემს ოჯახში მუსიკასთან მჭიდრო კავშირი არავის ჰქონდა, ბებია იყო ერთადერთი, ვინც პიანინოზე უკრავდა და მღეროდა თითქმის ყოველდღე. ამბობდა, რომ დაკვრა აბედნიერებდა და როცა ცუდ ხასიათზე იყო, ეს მისი თერაპია გახლდათ. ვეთანხმები - მეც ასე ვარ, მუსიკა მეხმარება ყველა სირთულის გადალახვაში.

- წლების შემდეგ მუსიკალურ ჯგუფშიც იყავით...

- ძალიან მომწონდა ჯგუფი „Otherside". 14 წლის ვიყავი, მათ შესახებ რომ გავიგე. ერთადერთი ბენდი იყო ბათუმში, რომელიც ხარისხიან და კარგ მუსიკას ქმნიდა. ჩემმა ბიძაშვილმა ნიკამ გამაცნო ამ ჯგუფის დამაარსებელი და ერთ-ერთი წევრი ოთო და ჩემი „დემო" მოასმენინა. მოეწონა და ბენდში ამიყვანეს. უცნაურია, მაგრამ იქამდე სერიოზულად არ ვუყურებდი მუსიკალურ სფეროში ჩემს მოღვაწეობას, ოთომ მიბიძგა და მაჩვენა, რომ ამის პოტენციალი მქონდა. ძალიან მადლიერი ვარ მისი. დიდი შანსი იყო, მუსიკა მხოლოდ სახლში მეკეთებინა, ჩემთვის, და, მუსიკის სიყვარულის მიუხედავად, სერიოზული ნაბიჯი არ გადამედგა არასდროს... არ მქონდა ჩემს შესაძლებლობებზე არანაირი წარმოდგენა. საბედნიეროდ, გამომართლა და მუსიკაში პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები ყველაზე კარგ ხალხთან ერთად გადავდგი.

- თქვენს შემოქმედებაზე გვიამბეთ. როგორც ვიცი, მელოდიასაც და ტექსტსაც თავად წერთ.

- დიახ, ბოლო 4 წელია „ფროდაქშენს", ანუ მუსიკასაც მე ვაწარმოებ, ძალიან მომწონს, რომ მთელი ეს პროცესი ჩემს ხელშია. ყოველი ნოტი და ბგერა მე უნდა გავიაზრო. ამ დროს აზრსაც ვერავის ვეკითხები, ვიცი, რომ მე ვარ ერთადერთი, ვინც რეალურად იცის პასუხი და ეს ერთგვარი აზარტია - სულ შენს თავს იწვევ. ძალიან მიყვარს ეს პროცესი და უდიდეს ბედნიერებასაც მანიჭებს. წარმოიდგინეთ, რომ მეცნიერი ხართ და ფორმულა უნდა შექმნათ, ასევეა მუსიკაც. პირველი ნოტიდან ბოლო ნოტამდე ყველაფერი უნდა ააგო ისე, რომ ბალანსი არ დაარღვიო. სირთულეებით არის სავსე, ძალიან ბევრი დაბრკოლება ახლავს, მაგრამ ბოლოს შვებისმომგვრელია - ხვდები, რომ ყოველი ოფლის წვეთი ღირდა ამად.

- რომელ ჟანრს მიეკუთვნება თქვენი მუსიკა და რატომ აირჩიეთ ეს მიმდინარეობა?

- ამაზე პასუხის გაცემა რთულია. ზოგადად, ყველა მუსიკოსისთვის ყველაზე კომპლექსური კითხვაა. დღეს იმდენნაირ მუსიკას ვუსმენ და იმდენის გავლენის ქვეშ ვარ, შეუძლებელია, ერთ ჟანრზე გავაკეთო არჩევანი. ჩემი მუსიკა ძალიან ეკლექტურია. ყველაფერი დამოკიდებულია მომენტზე - რა ხასიათზე ვარ იმ დღეს, როგორი ამინდია, რა დამესიზმრა, წინა ღამეს რა ფილმს ვუყურე და კიდევ უამრავი ფაქტორი განსაზღვრავს, იმ დროს რანაირ მუსიკას დავწერ. მიყვარს ჯაზის აკორდების შერევა მძიმე, მაგრამ, ამავდროულად, რბილ ბიტებთან. ვოკალი ყოველთვის დომინირებს. მელოდიურობა სრულად არის დამოკიდებული სტრუქტურაზე. ჩემთვის იდეალური ვარიანტია: დრამი, ბასი და ვოკალი. ეს სამი ინსტრუმენტია ფუნდამენტური. ასე ვწერ თითქმის ყველა სიმღერას და მერე უკვე ამ ბაზისზე ვაგებ სხვა დანარჩენ მელოდიებს.

- რატომ Creams? საიდან გაჩნდა თქვენი ფსევდონიმის იდეა?

- არ მახსოვს. მე-7 კლასის დღიურში მაქვს ჩანახატები, სადაც წარწერა „Creams"-ს დომინირებს. რა მომენტში მომინდა ამის დარქმევა და რატომ, ზუსტი პასუხი არ მაქვს, მხოლოდ ვერსიები.

- სიმღერებს მხოლოდ ინგლისურ ენაზე წერთ თუ ქართული რეპერტუარიც გაქვთ?

- ამჯერად ინგლისურ ენაზე ვწერ, იმიტომ რომ ამერიკულ „ლეიბლთან" მაქვს კონტრაქტი გაფორმებული. ქართულ სიმღერებს ვერ გავუგზავნი, უბრალოდ, ვერ მიხვდებიან. თუმცა არ გამოვრიცხავ, რომ პირველ, სადებიუტო სრულ ალბომს რომ გამოვუშვებ, ქართული სიმღერა ჩავსვა, რამდენიმე მაქვს. საქმე იმაშია, რომ „პერფექციონისტი" ვარ, თანაც, ცოტა არაჯანსაღ ფორმაში. სანამ იდეალური არ არის პროდუქტი, იქამდე არ ვდებ არსად. ამიტომ ჯერ იდეალურამდე ვერ მივიყვანე ჩემი ქართული რეპერტუარი. მივიყვან თუ არა, აუცილებლად გაიგებთ.

- როცა მუსიკას წერთ, როგორი უნდა იყოს თქვენთვის იდეალური სამუშაო გარემო და რა შეგრძნებები გაქვთ ამ დროს?

- ჩემთვის იდეალური სამუშაო გარემო ნიშნავს მზიან ოთახს. სასაცილოა, ამას რომ ვამბობ, რადგან ამჟამად ბერლინში ვცხოვრობ და მზე როგორია, ცოტა დავიწყებულიც მაქვს, მაგრამ მზე უდიდეს ენერგიას, მოტივაციას, ინსპირაციას მაძლევს. თუმცა, ეს გარემოც ერთგვარი გამოწვევაა, ამიტომ მივესალმები. ბევრი აპარატურა არ მჭირდება მუსიკის კეთებისთვის. კარგია, მაგრამ აუცილებელი არ არის. ტექნიკურად მთავარია, ლეპტოპი, ყურსასმენები, მიკროფონი და მიკლავიატურა მქონდეს. დანარჩენი ყველაფერი დამატებითია და არსებითად არ წყვეტს ჩემს პროდუქტიულობას.

- როგორია მუსიკალური კლიპის გადაღების პროცესი და რამდენი კლიპი გაქვთ გადაღებული?

- ხუთი, თუმცა, მეტიც მაქვს, უბრალოდ, ნელ-ნელა დაიდება მომდევნო თვეებში. ძალიან მიყვარს გადაღებები, უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს ხალხთან მუშაობა. სიმართლე რომ ვთქვა, ეს და, ზოგადად, შექმნის პროცესი უფრო მიყვარს მუსიკაში, ვიდრე ის, როცა მზად არის ყველაფერი და უნდა დაიდოს პროდუქტი.

- რომელ კლიპს და სიმღერას გამოარჩევდით და რატომ?

- ყველა ერთნაირად მიყვარს. ეს იგივეა, მშობელს ჰკითხო - ყველაზე მეტად რომელი შვილი გიყვარსო.

- გადაღებების დაფინანსება როგორ ხდება? თქვენი რეიტინგიდან გამომდინარე, ალბათ, სპონსორებს მარტივად პოულობთ.

- მარტივად - ვერა და, საერთოდ, ეს ყველაზე რთული ნაწილია. უფრო ხალხი გვეხმარება, ბევრი უფასოდ თანხმდება მუშაობას, რადგან პროცესი მოსწონს. ზოგიც იმიტომ გვეხმარება, რომ მოსწონს, რასაც ვაკეთებთ და ახლოს არის მათ ინტერესთან. მთა-

- ამერიკულ ხმის ჩამწერ სტუდიასთან თანამშრომლობთ. როგორ დაიწყო ეს ყველაფერი?

- იმდენად მარტივად, რომ არავის სჯერა, თუმცა მაქვს მტკიცებულებები. ყოველთვის მეცინება ამაზე: ინსტაგრამზე მომწერეს და 2 კვირა არ მინახავს წერილი. როცა ვნახე, ვუპასუხე. მითხრეს - გვეგონა, აღარც მოგვწერდიო. შემდეგ ამერიკაში ჩასვლა და კონტრაქტზე ხელის მოწერა შემომთავაზეს. ამერიკელი იურისტი მჭირდებოდა, საქართველოში შოუბიზნესში ჩახედული იურისტი ხომ წარმოუდგენელი რამ იყო. ამიტომ ვეძებდი ამერიკელს. როცა ვიპოვე, იმდენად დიდი თანხა იყო გადასახდელი, რომ შანსი არ მქონდა, ის სადმე მეშოვნა. ბოლოს მივწერე ისევ „ლეიბლს": ბოდიში, მაგრამ არ მაქვს იმ რაოდენობის თანხა, იურისტი რომ ავიყვანო-მეთქი... 1 კვირა ფიქრობდნენ, შემდეგ დამირეკეს და მითხრეს, რომ თვითონ გადაიხდიდნენ იურისტის თანხასაც. ასე მოვხვდი ამერიკაში და ამ კონტრაქტს ხელი მოვაწერე.

- ამჟამად ბერლინში ცხოვრობთ, რითი ხართ დაკავებული და როგორია ევროპული ყოველდღიურობა?

- ბერლინში მუსიკის წარმოებას ვსწავლობ. ევროპული ყოველდღიურობა ძალიან განსხვავდება ჩვენისგან. ბევრი რამ მომწონს ძალიან, მაგრამ საქართველო ყოველდღე მენატრება. იმდენად მიყვარს ჩემი ქვეყანა, სულ საქართველოში ვიცხოვრებდი, რომ არა ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორი. პირველ რიგში, რასაც ჩემი გული ვერ უძლებს, ეს უსახლკარო და გაუბედურებული ცხოველებია. ყოველდღე ერთი ფეხმოტეხილი ცუგა რომ არ შემხვდეს, ისე გარეთ ვერ გავდივარ. ზოგჯერ ამის გამო ვარიდებ კიდეც ქუჩაში სიარულს თავს. რამხელა სტრესია ეს ჩემთვის, ვერ აღვწერ. ამ ზაფხულს ექვსი კნუტი ავიყვანეთ ქუჩიდან მე და ჩემმა დამ და ნელ-ნელა დავაბინავეთ სხვებთან, სახლებში. ჩვენ თვითონ გვყავს ქუჩის ძაღლი და ახლა - კატაც. ურთულესი მდგომარეობაა. ცხოველები მეცოდება იმიტომ, რომ ლაპარაკის უნარი არ გააჩნია, ვერასდროს გეტყვის, რა სტკივა, ამიტომ ჩვენ უნდა დავეხმაროთ უსიტყვოდ. ფული რომ მექნება, ცხოველთა თავშესაფარს გავხსნი საქართველოში. აუცილებლად!

- თქვენი ერთ-ერთი სიმღერა ნეტფლიქსის ცნობილ სერიალ „ლუციფერში" გამოიყენეს, ეს თქვენთან შეთანხმებით მოხდა?

- დიახ, რა თქმა უნდა, ერთი წლით ადრე ვიცოდი, რომ გამოიყენებდნენ, მაგრამ არ ვამბობდი. ალბათ, იმიტომ, რომ ვერ ვიჯერებდი ამ ამბავს. ძალიან კარგი შეგრძნებაა, როდესაც შენი მუსიკა ამგვარად ფასდება. ამ დროს ხვდები, რომ თუ გულით აკეთებ შენს საქმეს, შრომა წყალში არ იყრება.,

- შემოქმედებაში რა არის თქვენთვის ყველაზე პრიორიტეტული?

- ჩემი ემოციების გულწრფელად გაზიარება. მიმაჩნია, რომ ადამიანებს ერთმანეთის ემოციური ენის გვესმის. თუკი მე ჩემს ტკივილს ჩემი მუსიკით გადმოვცემ, აუცილებლად გამოჩნდება ვიღაც, ვინც მსგავს მტკივნეულ ეპიზოდს გადის ცხოვრებაში და გაიგებს სათქმელს ჩემი მუსიკის დახმარებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, ცოტა მაგიურიც. ამით ვუკავშირდები სხვებს და ეს არის მთავარი - გაზიარება და სხვის ცხოვრებაში არსებობა ამ მედიუმის საშუალებით.

- რა გეგმები გაქვთ?

- ჯერ არ ვიცი. ზაფხულამდე ბერლინში ვიქნები. ვფიქრობ, მერეც ცოტა ხანი დავრჩე და რამდენიმე კონცერტი მოვაწყო. ბათუმშიც დიდი სიამოვნებით ჩამოვიდოდი 1-2 კვირით. მომენატრა. ვნახოთ. არ ვგეგმავ არაფერს, დინებას მივყვები. პარალელურად მუსიკას ვქმნი და ეს არის მთავარი.